# ხობის მოამბე

№6 (7101) 13 ივლისი,
პარასკევი, 2018 წელი.
ფასი 0,70 ლარი.

ხობის მუნიციპალიტეტის ბეჭდვითი ორგანო


## შეხვედრა კულტურისა და საგანმანათლებლო სფეროს წარმომადგენლებთან

საქართველოს პარლამენტის ხობის მაჟორიტარი წევრი ირაკლი (დაჩი) ბერაია, ხობის მუნიციპალიტეტის მერი გოჩა ქაჯაია და საკრებულოს თავმჯდომარე ედიშერ ჯობავა მერიის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურისა და ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივი ცენტრის" თანამშრომლებს შეხვდნენ.

შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა, სადაც კულტურის სფეროში არსებულ პრობლემებზე, მათი გადაჭრის გზებზე, ახალ გამოწვევებზე, მიმდინარე და დაგეგმილ პროექტებზე ისაუბრეს.

შეხვედრას მერიისა და საკრებულოს წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

## დეპუტატი გზების სარეაბილიტაციო სამუშაოებს გაეცნო



საქართველოს პარლამენტის მაჟორიტარმა წევრმა ირაკლი (დაჩი) ბერაიამ, ხობის მუნიციპალიტეტის მერმა გოჩა ქაჯაიამ და საკრებულოს თავმჯდომარე ედიშერ ჯობავამ თორსა-დღვაბის და პირველი მაისის ადმინისტრაციულ ერთეულებში შიდა სასოფლო გზების სარეაბილიტაციო სამუშაოები დაათვალიერეს და ადგილობრივ მოსახლეობას შეხვდნენ.

ადგილობრივებთან შეხვედრაზე მაჟორიტარმა დეპუტატმა აზიური ფაროსანას წინააღმდეგ ბრძოლის სახელმწიფო პროგრამით განხორციელებულ ღონისძიებებზე, დაგეგმილ და მიმდინარე ინფრასტრუქტურულ პროექტებზე ისაუბრა.

**პირველი მაისის საკვიკვინიოს უბანში**

2800 მეტრ მანძილზე დაიგება ცემენტბეტონის საფარი;

აშენდება ხიდბოგირები და მილხიდები;

მოეწყობა რკინაბეტონის სანიაღვრე არხი.

სამუშაოს ღირებულება 1 მილიონ 307 ათასი ლარია.

**თორსა-დღვაბაში**

4750 მეტრ მანძილზე დაიგება ცემენტ-ბეტონის საფარი

მოეწყობა რკინა-ბეტონის მილხიდები, ეზოებში შესასვლელები და საგზაო ნიშნები

სამუშაოს ღირებულება 1.369.889 ლარს შეადგენს. ინფრასტრუქტურული პროექტები რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდისა და ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით ხორციელდება. სამუშაოზე დასაქმებულია ადგილობრივი მუშახელი.

## ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გასვლითი სხდომა

29 ივნისს საჯიჯაოს ადინისტრაციულ ერთეულის კულტურის სახლში გაიმართა ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გასვლითი სხდომა. რომელსაც უძღვებოდა საკრებულოს თავმჯდომარე ედიშერ ჯობავა.

სხდომას საკრებულოსა და მერიის ხელმძღვანელ პირებთან ერთად სხვადასხვა ადმინისტარციული ერთეულებიდან საზოგადოების წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ.

**სხდომაზე ხობის მუნიციპალიტეტის მერმა გოჩა ქაჯაიამ საკრებულოს წევრებს 2017 წელს გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში წარუდგინა.**

მერმა დეტალურად ისაუბრა 2017 წელს დაგეგმილ და განხორციელებულ პროექტებზე, საკრებულოს წევრების მხრიდან მერის მიერ გაწეული მუშაობა შეფასდა დადებითად, რის შემდეგაც საკრებულოს სხდომა დახურულად გამოცხადდა.

(მუნიციპალიტეტის მერის გოჩა ქაჯაიას ვრცელი ანგარიში იხილეთ 1-7 გვ-ზე.)

## ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების ძალისხმევით პოზიტიური შედეგები მიღწეულია

### ხობის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წელს გაწეული მუშაობის ანგარიში



ხობის მუნიციპალიტეტის მერია, საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებულ უფლებამოსილებათა ფარგლებში, საკრებულოს გადაწყვეტილებათა შესაბამისად, ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოსთვის მიკუთვნებულ უფლებამოსილებებს ახორციელებს.

ხობის მუნიციპალიტეტის მერია (გამგეობა) 2017 წლის განმავლობაში ფუნქციონირებდა 8 სამსახურის მეშვეობით, ესენია:

ადმინისტრაციული სამსახური;

საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური;

ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახური;

ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახური;

კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური;

შრომის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, ვეტერანთა, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა საქმეების სამსახური;

წვევამდელთა, რეზერვისტთა, სამხედრო აღრიცხვის, გაწვევის და მობილიზაციის სამსახური;

შიდა აუდიტისა და კონტროლის სამსახური.

მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოსთვის მიკუთვნებული ცალკეული საკითხების განხილვის, შესწავლის, შესაბამისი წინადადებებისა და დასკვნების შემუშავების და სახელმწიფოსგან მუნიციპალიტეტისთვის დელეგირებული უფლებამოსილებების განხორციელების მიზნით, ხობის მუნიციპალიტეტის მერიაში მერიის პასუხისმგებელი პირების, სხვადასხვა სამსახურის მოსამსახურეთა და სხვადასხვა უწყებათა წარმომადგენლების მონაწილეობით შექმნილია კომისიები და სამუშაო ჯგუფები, რომლის ფარგლებში კოლეგიურად განიხილება მერიის კომპეტენციას მიკუთვნებული ისეთი საკითხები, რომელთა განხილვა სხვადასხვა სამსახურის წარმომადგენელთა თანამონაწილეობას საჭიროებს, ესენია:

ხობის მუნიციპალიტეტის მერიის სატენდერო კომისია;

სახელმწიფო შესყიდვების კონკურსის მეშვეობით განხორციელების მიზნით შექმნილი საკონკურსო კომისია;

ხობის მუნიციპალიტეტის მერიის სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებების პირობების შესრულების კონტროლის ჯგუფი;

ხობის მუნიციპალიტეტის მერიის საინვენტარიზაციო კომისია;

ხობის მუნიციპალიტეტის მერიის სააუქციონო კომისია;

ხობის მუნიციპალიტეტის გამწვევი კომისია;

ხობის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის მუნიციპალური პროგრამების უზრუნველყოფის კომისია;

„ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული მრავალწლიანი ნარგავებისა და მუნიციპალიტეტისთვის გამოყოფილი პირველი ხარისხის მერქნული რესურსის განაწილების შემსწავლელი კომისია;

ხობის მუნიციპალიტეტის მერიის მუდმივმოქმედი საექსპერტო კომისია.

ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სტიქიისაგან მიყენებული ზარალის შემსწავლელი კომისია;

ხობის მუნიციპალიტეტის მერთან არსებული, პირის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცხოვრების (ყოფნის) ფაქტის დამდგენი კომისია;

ხობის მუნიციპალიტეტის მერთან არსებული, თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების კომისია;

ხობის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტის შედგენის მიზნით შექმნილი საკოორდინაციო ჯგუფი;

ხობის მუნიციპალიტეტის მერიის საკონკურსო კომისია.

2

# ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების ძალისხმევით პოზიტიური შედეგები მიღწეულია

## ხობის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წელს გაწეული მუშაობის ანგარიში

1◀



„ადრეული სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით მუნიციპალიტეტისთვის დადგენილი ვალდებულებების უზრუნველყოფის მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფი;

მუნიციპალური ნარჩენების მართვის 5 წლიანი გეგმის შემუშავებისთვის მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფი

მერიის მიერ გაწეული საქმიანობის სრულყოფილად წარმოჩენის მიზნით, წარმოგიდგენთ როგორც სამსახურების მიერ წარმოებულ საქმიანობას, მათ კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხების გადაწყვეტისათვის, ასევე მათი საქმიანობის შედეგად მუნიციპალიტეტის მასშტაბით მიღწეულ შედეგებს.

მუნიციპალიტეტის განვითარებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს საბიუჯეტო შემოსავლები, რომლის მოცულობითაც იგი წლების განმავლობაში გამორჩეული იყო სხვა მუნიციპალიტეტებისგან.

ადგილობრივი საბიუჯეტო რესურსების მართვას ახორციელებს მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური, რომელიც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტის მომზადებას, მუნიციპალური პროგრამების საფინანსო გაანგარიშება-დასაბუთებას, დამტკიცებული ბიუჯეტის შესრულებას, საბიუჯეტო სახსრების მიზნობრივ, მიზანშეწონილ და ეფექტიან გამოყენებაზე წინასწარი და მიმდინარე კონტროლის დაწესებას, ბიუჯეტით განსაზღვრული ასიგნებების შესაბამისად ხარჯების გაწევას, შესაბამისი ფინანსური ოპერაციების განხორციელებას და ბიუჯეტის შესრულების შესახებ ანგარიშგებას.

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 დეკემბრის №25 დადგენილებით დამტკიცდა მუნიციპალიტეტის 2017 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი საშემოსავლო ნაწილში 8243,8 ათასი ლარის, ხოლო საგასავლო ნაწილში 8243,8 ათასი ლარის ოდენობით. 2017 წლის განმავლობაში განხორციელებული ცვლილებების გათვალისწინებით, მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის დაზუსტებულმა გეგმამ საშემოსავლო ნაწილში 11878,7 ათასი ლარი, ხოლო საგასავლო ნაწილში - 13791,4 ათასი ლარი შეადგინა. შემოსულობებიდან 3844,9 ათასი ლარი სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი გრანტებია, მათ შორის: დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად–210,0 ათასი ლარი, ხოლო ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერი–3634,9 ათასი ლარი.

სხვა შემოსავლები–2017 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული 383,8 ათასი ლარის ნაცვლად ბიუჯეტში შემოსულია 540,7 ათასი ლარი–156,9 ათასი ლარით მეტი.

შემოსულობები–„არაფინანსური აქტივების კლებიდან“ ბიუჯეტში გათვალისწინებული 50,0 ათასი ლარიდან შემოსულია 105,3 ათასი ლარი–55,3 ათასი ლარით მეტი.

2017 წლის ბიუჯეტის საგასავლო ნაწილი–ბიუჯეტის შესრულების მიხედვით ათვისებულია 86,7 % (გეგმა–13791,4 ათასი ლარი, ფაქტიური შესრულება - 11966,9 ათასი ლარი).

ფულადი სახსრების ნაშთი 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შეადგენდა 2446,5 ათას ლარს.

ეკონომიკური განვითარების უზრუნველსაყოფად მერია თავის უფლებამოსილებებს ახორციელებს ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის მეშვეობით. სამსახურის მიერ ხორციელდება მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში არსებული ქონების აღრიცხვა და მისი მართვისა და განკარგვისთვის წინადადებების და სათანადო დოკუმენტაციის მომზადება, სახელმწიფო და ადგილობრივი ქონების გამიჯვნა, რეგისტრაციისთვის საჭირო პროცედურების ჩატარება და საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრაცია. სამსახური უზრუნველყოფს თვითმმართველ ერთეულში ერთიანი ეკონომიკური პოლიტიკის განსაზღვრას და განხორციელებას, ეკონომიკური საქმიანობის მარეგულირებელი წესების შემუშავებას და განხორციელებას, სტატისტიკური ინფორმაციის შეგროვება-დამუშავებას. წინადადებების შემუშავებას მუნიციპალიტეტის ქონების მართვის, ადგილობრივი მოსაკრებლების, ბუნებრივი რესურსების რაციონალურ გამოყენებაზე და სხვა ეკონომიკური აქტივობების შესახებ.

ადგილობრივ ბიუჯეტში, ბუნებრივი რესურსების სარგებლობიდან მოსაკრებლის სახით შემოსულია 72553 ლარი, მათ შორის: ტყის ფონდის მერქნული რესურსების სარგებლობიდან ბიუჯეტში შემოსულია 7118 ლარი, ხოლო წიაღით სარგებლობიდან–3600 ლარი.



აუქციონის ფორმით ხორციელდება მუნიციპალური ქონების გაიჯარება, 2017 წელს არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გადასახადი იურიდიული პირებიდან ბიუჯეტში შემოსულია 1747 ათასი ლარი, ხოლო ფიზიკური პირებიდან - 55250 ლარი.

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გადასახადი იურიდიული პირებიდან ბიუჯეტში შემოსულია 188 ათასი ლარი, ხოლო ფიზიკური პირებიდან–82 ათასი ლარი. მუნიციპალური ქონების გაიჯარებიდან შემოსულია 39177 ლარი.

ადგილობრივ ბიუჯეტში შემოსულია 20000 ლარი დასუფთავების მოსაკრებლის სახით, მათ შორის იურიდიული პირებიდან–15000 ლარი, ფიზიკური პირებიდან–5000 ლარი.

სამსახური ასევე უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოფლის მეურნეობის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის და აგრარული რეფორმების განხორციელების ხელშეწყობას. აგროსასურსათო, აგროგადამამუშავებელი, ნიადაგის ნაყოფიერების აღდგენა-გაუმჯობესების, მემცენარეობის, მეცხოველეობის, მეთევზეობის, აგროსაინჟინრო და ვეტერინარიის დარგების ხელშემწყობი ღონისძიებების განხორციელებას, სოფლის მეურნეობის დარგში დასაქმებული მეურნე სუბიექტებისა და დაინტერესებული პირებისთვის დახმარების გაწევას.



აზიურ ფაროსანასთან ბრძოლის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ხობის მუნიციპალიტეტს გამოეყო 124000 ლარი, 38 ერთეული ზურგსაკიდი აპარატი, 11965 ლიტრი პესტიციდი და 11965 ფაროსანას დამჭერი ხაფანგი - ფერომონი. პესტიციდები და ხაფანგები გადაეცა მოსახლეობას. 72 მოქალაქემ გაიარა სპეციალური კურსები ზურგსაკიდი აპარატის და პესტიციდების გამოყენებასთან დაკავშირებით. მათ მიერ შეიწამლა 1243 ჰექტარი თხილის პლანტაცია.

სამასალე მერქნის მოთხოვნით მერიაში (გამგეობაში) შემოვიდა მოქალაქეთა 44 განცხადება.

35 განმცხადებელს გადაეცა 400 კუბური მეტრი წიწვოვანი და 150 კუბური მეტრი ფართოფოთლოვანი სამასალე მერქანი. ხოლო ხანძრის შედეგად დაზარალებულ 6 ოჯახს გადაეცა ხის მასალა.

მერიის საქმიანობის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებას წარმოადგენს, ინფრასტრუქტურული პროექტების დაგეგმვა და განხორციელება. ამ სფეროში, მერიის სტრუქტურული ერთეულებიდან ძირითადი დატვირთვა ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურზე მოდის.

სამსახური უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის სივრცითი ტერიტორიული დაგეგმვისა და ქალაქთმშენებლობის დოკუმენტების შემუშავებას, მშენებლობის ნებართვების თაობაზე გადაწყვეტილებების მომზადებას, მშენებლობაზე და არქიტექტურულ საქმიანობაზე ზედამხედველობას, ინფრასტრუქტურის განვითარებას და მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობას.

სამსახურის მიერ განხორციელებული საქმიანობის შედეგად, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განხორციელდა არაერთი ინფრასტრუქტურული პროექტი, კერძოდ:

2017 წელს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დაფინანსდა 3915000 ლარის ღირებულების 9 პროექტი:

ხობის მუნიციპალიტეტში კულტურულ-საგანმანათლებლო და ახალგაზრდული ცენტრის შექმნის მეორე ეტაპის სამუშაოები–349,8 ათასი ლარი (ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსება–171,8 ათასი ლარი);

.ქალაქ ხობის ქუჩების კეთილმოწყობა და ინფრასტრუქტურის გაუმჯებესობა–579,50 ათასი ლარი (ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსება–294,9 ათასი ლარი);

პირველი მაისის ადმინისტრაციული ერთეულის საჩოკორაიოს უბანში ქუჩის კეთილმოწყობა–554,0 ათასი ლარი (ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსება–282,2 ათასი ლარი);

პატარა ფოთის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ პატარა ფოთში ქუჩების კეთილმოწყობა–816,9 ათასი ლარი (ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსება–494,2 ათასი ლა-

▶3

# ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების ძალისხმევით პოზიტიური შედეგები მიღწეულია

## ხობის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წელს გაწეული მუშაობის ანგარიში

2

რი);

ჭალადიდის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ საბაჟოში სკოლამდე მისასვლელი გზის რეაბილიტაცია - 270.4 ათასი ლარი (ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსება - 13.5 ათასი ლარი);

საგვიჩიოს ადმინისტრაციულ ერთეულში გზის რეაბილიტაცია - 500,00 ათასი ლარი (ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსება - 254,40 ათასი ლარი);

საჯიჯაოს ადმინისტრაციულ ერთეულში საბავშვო ბაგა-ბაღის რეაბილიტაცია - 172.9 ათასი ლარი (ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსება - 87.9 ათასი ლარი);

შუა ხორგის, ქარიატისა და ყულევის ადმინისტრაციულ ერთეულში წყალსადენი ქსელის მშენებლობა - 600,00 ათასი ლარი (ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსება - 305,3 ათასი ლარი);

ხამისკურის ადმინისტრაციულ ერთეულში სპორტული მოედნის რეაბილიტაცია–45,5 ათასი ლარი (ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსება–2.4 ათასი ლარი);

საქართველოს მთავრობამ ხობის მუნიციპალიტეტს სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ გამოუყო (როგორც საამშენებლო, ასევე საპროექტო სამუშაოებისთვის) 1,5 მილიონი ლარი. 2017 წელს შესრულდა 421,6 ათასი ლარის ღირებულების სამუშაო. მათ შორის:

ახალი ხიბულის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ახალ ხიბულაში (საადამიოს უბანი) წარეცხილი სასოფლო გზის რეაბილიტაცია–9,7 ათასი ლარი;

ნოჯიხევის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ კუთხე ნოჯიხევში წარეცხილი გზის ვაკისისა და სავალი ნაწილის რეაბილიტაცია–27,0 ათასი ლარი;

საჯიჯაოს ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ გაღმა საჯიჯაოში მდინარე ზანაძგაზე ხიდის რეაბილიტაცია–61,4 ათასი ლარი. (ხელშეკრულება დადებულია. თანხა გაცემულია საბანკო გარანტიის საფუძველზე)

საჯიჯაოს ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ გაღმა საჯიჯაოში მდინარე ზანაძგაზე ხიდის (საჭანტურიოს უბანი) რეაბილიტაცია - 60,2 ათასი ლარი (მიმდინარეობს სამუშაოები, თანხა გაცემულია საბანკო გარანტიის საფუძველზე);

ნოჯიხევის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ნოჯიხევში ხიდბოგირის რეაბილიტაცია–12,0 ათასი ლარი;

ნოჯიხევის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ კუთხე ნოჯიხევში ხიდის რეაბილიტაცია–28,9 ათასი ლარი;

საჯიჯაოს ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ჯაპიშაქარში ღელე ოკურჩხალეს სანაპირო ზოლზე გაბიონის მშენებლობა–70,9 ათასი ლარი;



ნოჯიხევის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ კუთხე ნოჯიხევში ნაპირდამცავი გაბიონის მშენებლობა–73,2 ათასი ლარი;

ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით 1,3 მილიონი ლარის ინფრასტრუქტურული პროექტები (მათ შორის, პროექტირება) განხორციელდა, მათ შორის:

საგვიჩიოს ადმინისტრაციულ ერთეულში გზის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა და პროექტის ექსპერტიზა–4,7 ათასი ლარი;

ხეთის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ხეთაში, ნიკოლოზ ბარათაშვილის ქუჩაზე ცემენტ-ბეტონის საფარის მოწყობა–36,2 ათასი ლარი;

ახალი ხიბულის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ზუბის სალომაიოს უბანში ცემენტ-ბეტონის საფარის მოწყობა–27,9 ათასი ლარი;

ძველი ხიბულის ადმინისტრაციული ერთეულის საჯაკონიოს უბანში გზის ფერდობზე ცემენტ-ბეტონის საფარის მოწყობა–88,21 ათასი ლარი;

ქ. ხობში ცენტრალური სტადიონის მიმდებარე ქუჩის კეთილმოწყობის (მოასფალტება) საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება - 0,3 ათასი ლარი;

ქ. ხობში, აიეტის დასახლებაში გზის კეთილმოწყობის (მოასფალტება) საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება–2,2 ათასი ლარი;

ქ. ხობში, ერეკლე მეორეს ქუჩის კეთილმოწყობის (მოასფალტება) საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება–0,5 ათასი ლარი;

ქ. ხობში, გ. ჭყონდიდელისა და ი. ჭავჭავაძის ქუჩების დამაკავშირებელი გზის კეთილმოწყობის (მოასფალტება) საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება–0,3 ათასი ლარი;

ხამისკურის ადმინისტრაციულ ერთეულში სკოლამდე მისასვლელი გზის რეაბილიტაციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება–1,0 ათასი ლარი;

ჭალადიდის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ საბაჟოში სკოლამდე მისასვლელი გზის რეაბილიტაციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება–3,0 ათასი ლარი;

პირველი მაისის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ საკვიკვინიოში გზის რეაბილიტაციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა–8,9 ათასი ლარი;

თორსა-ღლვაბის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ღლვაბაში გზის რეაბილიტაციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა–8,1 ათასი ლარი;

ნოჯიხევის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ნოჯიხევში ბეტონის გზის მოწყობის სამუშაოები–65,0 ათასი ლარი;

ხამისკურის ადმინისტრაციულ ერთეულში სკოლამდე მისასვლელი გზის რეაბილიტაცია–151,48 ათასი ლარი;

ახალი ხიბულისა და საჯიჯაოს ადმინისტრაციული ერთეულების დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაციის სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა–5,9 ათასი ლარი;

პირველი მაისის ადმინისტრაციული ერთეულის საკვიკვინიოს უბანში ლითონის ხიდის რეაბილიტაცია–7,6 ათასი ლარი;

ხამისკურის ადმინისტრაციული ერთეულის საფარცვანიოს უბანში წარეცხილი წყალსადენი სისტემის რეაბილიტაცია–7,9 ათასი ლარი;

ხეთის ადმინისტრაციულ ერთეულში საბავშვო ბაგა-ბაღის რეაბილიტაცია–425,5 ათასი ლარი;

პირველი მაისის ადმინისტრაციული ერთეულის ადმინისტრაციული შენობის გადახურვის სამუშაოები–12,7 ათასი ლარი;

ჭალადიდის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ საბაჟოში საბავშვო ბაღის გადახურვა–53,4 ათასი ლარი;

ქ. ხობში კოსტავას ქუჩაზე სანიაღვრე არხის რეაბილიტაციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება–1,8 ათასი ლარი;

ქ. ხობში რუსთაველი-აღმაშენებლის ქუჩების სანიაღვრე არხის რეაბილიტაციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება - 1,4 ათასი ლარი;

ქ. ხობში წერეთელი-აღმაშენებლის ქუჩების სანიაღვრე არხის რეაბილიტაციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება–0,1 ათასი ლარი;

ქ. ხობში ვეკუა-გოგებაშვილი-ცოტნე დადიანის ქუჩების სანიაღვრე არხის რეაბილიტაციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება - 0,5 ათასი ლარი;

ქ. ხობში, სპორტის ქუჩაზე სანიაღვრე არხის რეაბილიტაციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება - 0,1 ათასი ლარი;

ქ. ხობში მირცხულავა-სამეგ-



რელოს ქუჩების სანიაღვრე არხის რეაბილიტაციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება - 0,2 ათასი ლარი;

ქ. ხობში ჭავჭავაძის ქუჩის სანიაღვრე არხის რეაბილიტაციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება–0,5 ათასი ლარი;

ქ. ხობში ცოტნე დადიანის ქუჩაზე მოსახლეობის ეზოებთან მისასვლელებში სანიაღვრე არხზე ხიდ-ბოგირების მოწყობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება–0,1 ათასი ლარი;

ნოჯიხევის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ნოჯიხევში სასაფლაოს მიმდებარე ტერიტორიის სანიაღვრე არხის რეაბილიტაციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება–0,1 ათასი ლარი;

ადგილობრივი გზების მოვლა-შენახვა–158,9 ათასი ლარი;

ქარიატის ადმინისტრაციული ერთეულის ადმინისტრაციული შენობის რემონტი–11,8 ათასი ლარი;

ძველი ხიბულის ადმინისტრაციული ერთეულის ადმინისტრაციული შენობის რემონტი–9,6 ათასი ლარი;

ქ. ხობში, მ. კოსტავას ქუჩაზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კონსტრუქციული ექსპერტიზა–1,0 ათასი ლარი.

შუა ხორგის ადმინისტრაციულ ერთეულში საწრეტი არხის ამოწმენდა–82,5 ათასი ლარი (თანხა სრულად გადაერიცხა საბანკო გარანტიის საფუძველზე);

ბიის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ბიაში 9 აპრილის ქუჩაზე სანიაღვრე არხის ამოწმენდა–7,8 ათასი ლარი;

მინისტადიონების მოვლა–17,0 ათასი ლარი;

სამსახური ზედამხედველობას უწევდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მიმდინარე სამშენებლო სამუშაოებს; სამსახურის მიერ გაიცა 39 ნებართვა მშენებლობაზე, მშენებლობის შეთანხმებაზე–30 დოკუმენტი, გამოვლინდა არქიტექტურულ-სამშენებლო სამართალდარღვევის 4 და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის 2 ფაქტი. კერძოდ: სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის თვითნებური მიტაცების ფაქტზე, რის გამოც დამრღვევის მიმართ გამოყენებულიქნა კანონით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები.

სამსახური, ასევე კოორდინაციას უწევდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მგლის რაოდენობის რეგულირებას. სამსახურის წინადადებით, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაც-

4

# ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების ძალისხმევით პოზიტიური შედეგები მიღწეულია

## ხობის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წელს გაწეული მუშაობის ანგარიში

3

ვის სამინისტროსა და ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობას შორის გაფორმდა ხელშეკრულება მგლის 10 ინდივიდის და ტურის 20 ინდივიდის ბუნებიდან ამოღების შესახებ. აღნიშნული ხელშეკრულების პირობების გათვალისწინებით შეიქმნა მონადირეთა 13 ჯგუფი. გატარებული ღონისძიებების შედეგად მოკლულიქნა 4 მგელი და 3 ტურა.

გარდა სხვადასხვა პროფილის ეკონომიკური და ინფრასტრუქტურული კუთხით მუნიციპალიტეტში განხორციელებული საქმიანობისა და მოსახლეობისთვის საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისა, არანაკლები ყურადღება ეთმობა მუნიციპალიტეტის მასშტაბით კულტურულ-საგანმანათლებლო, სპორტისა და ძეგლთა დაცვის ღონისძიებებს, რასაც მერია კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის მეშვეობით ახორციელებს.

კულტურის, განათლებისა და სპორტის სფეროზე საუბრისას აუცილებელია აღვნიშნოთ ის მთავარი ნიუანსი, რაზედაც ადგილობრივი ხელისუფლება აკეთებს მთავარ აქცენტს. ნებისმიერ სფეროში და განსაკუთრებით კულტურის, განათლებისა და სპორტის სფეროში პრიორიტეტად შერჩეულ იქნა ინფრასტრუქტურის მოწყობა, რათა ამ სფეროში მოღვაწე მოქალაქეებს, ახალგაზრდობას, ბავშვებს მიეცეს საშუალება უფრო მეტად გამოავლინონ საკუთარი შესაძლებლობები. ინფრასტრუქტურულ პროექტებზე ვრცლად ვისაუბრეთ, მაგრამ მიზანშეწონილად ვთვლით ყურადღება გავამახვილოთ ამ სფეროების ცალკეულ ობიექტებზე.

კულტურის სახლის შენობა, რომელიც თავისი მასშტაბითა და მნიშვნელობით ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ადგილია ჩვენი მუნიციპალიტეტისათვის, წლების განმავლობაში საჭიროებდა სათანადო ყურადღებას. განვლილ წლებში მუნიციპალიტეტში შემუშავდა „კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრის“ ჩამოყალიბების პროექტი, რომლის ფარგლებში განისაზღვრა კულტურის, სკოლისგარეშე და ხელოვნების სფეროში განათლების მიღებისთვის აუცილებელი პირობების შექმნა ერთიან სივრცეში. კულტურის სახლის სარეაბილიტაციო სამუშაოების მეორე ეტაპის დასრულების შემდეგ ხობს განახლებული „კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრი“ გააჩნია.

12 აგვისტოს ტრადიციულად ჩატარდა საეკლესიო-სახალხო დღესასწაული „ცოტნეობა“. დღესასწაულზე მაყურებლის წინაშე ადგილობრივ შემსრულებლებთან ერთად, რეგიონის ფოლკლორული ანსამბლები და ცნობილი საესტრადო შემსრულებლები წარსდგნენ.

2017 წელს ხობის მუნიციპალიტეტის ისტორიაზე ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით გამოიცა ორი მნიშვნელოვანი წიგნი–„ყულევი (არქეოლოგია, ისტორია)“ და „ხობის სიძველენი“.

წიგნში „ყულევი (არქეოლოგია, ისტორია)“, ყულევის მატერიალური კულტურის ის ძეგლებია თავმოყრილი, რომელთა შესწავლა მე-19 საუკუნის ბოლოდან დაიწყო. წიგნის თანაავტორები არიან რევაზ პაპუაშვილი, გოგიტა ჩიტაია და იოსებ პაპუაშვილი.

წიგნში „ხობის სიძველენი“ (ავტორი გოგიტა ჩიტაია) ასახულია ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული კულტურული მემკვიდრეობის 275 ობიექტი. აქედან ეკლესია - 16, ნაეკლესიარი - 31, ციხე კოშკი და სხვა ნაგებობა - 21, არქეოლოგიური ობიექტი - 207. კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების კოორდინატები დაფიქსირებულია სატელიტური ხელსაწყოთი (GPS) UTM-ის საკორდინაციო ბადის მეშვეობით. აუცილებელია ამ მონაცემების გათვალისწინება ქალაქმშენებლობისა და საკადასტრო რუკების შედგენისას. ნაშრომი, გზამკვლევის ფუნქციას შეასრულებს და ზოგად წარმოდგენას შეუქმნის საზოგადოებას, მოსწავლე-ახალგაზრდობას; ხელს შეუწყობს ძეგლთა დაცვითა და შესწავლით დაინტერესებულ პირებსა და დაწესებულებებს დასახონ გზები და საშუალებები, იმისათვის, რომ დაიცვან და მომავალ თაობებს შეუნახონ ისინი.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში გაგრძელდა მუშაობა ხობის მუნიციპალიტეტის ისტორიული ძეგლების ისტორიის დადგენის მიზნით სამეცნიერო დაწესებულებებში, ეროვნულ ბიბლიოთეკაში, ხელნაწერთა ინსტიტუტში, საპატრიარქოს არქივში მოპოვებული მასალები გამოყენებული იქნება ხობის მუნიციპალიტეტის შესახებ ბეჭდური გამოცემისათვის. ხობის მონასტრის და ჯეგეთის წმინდა გიორგის არქიტექტურული კომპლექსის სარესტავრაციო სამუშაოების ჩატარების მიზნით სამსახურმა განახორციელა არაერთი სამუშაო შეხვედრა საპატრიარქოს ხუროთმოძღვრების საბჭოსა და ძეგლთა დაცვის ეროვნული სააგენტოს მეცნიერ-თანამშრომლებთან. კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების მდგომარეობის შემოწმების მიზნით დათვალიერებულ იქნა ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ობიექტები. ძეგლების მდგომარეობა (განსაკუთრებით არქეოლოგიური ობიექტებისა) არ შეცვლილა, რაც შეეხება მიწისზედა ძეგლებს გამაგრებითი სამუშაოების ჩატარებას მოითხოვს ხეთაში საქირიოს უბანში მდებარე წმ. კვირიკეს სახელობის ეკლესია, რომელსაც ხალხი „ჩეოხვამეს“ უწოდებს, ხეთაში „კორცხოს“ უბანში არსებული წმ. თეოდორეს სახელობის ეკლესია და სოფელ პირველ მაისში წმ. სოფიოს ეკლესია.

საანგარიშო პერიოდში მუნიციპალიტეტში ჩატარდა კულტურული, სპორტული და საგანმანათლებლო-შემეცნებითი ღონისძიებები. კერძოდ: დედისა და ქალთა დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება, გაზაფხულის საზეიმო კონცერტი სამუსიკო სკოლაში, მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრის ახალგაზრდული პროგრამების ფარგლებში განხორციელდა 9 აპრილისა და ფაშიზმზე გამარჯვების 71-ე წლისთავისადმი მიძღვნილი პროექტები. საზეიმოდ აღინიშნა 26 მაისი–საქართველოს დამოუკიდებლობის დღე და შოთა რუსთაველის 850 წლის იუბილე. მუზეუმების საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი კვირეულის ფარგლებში ძუკუ ლოლუას სახელობის ქართული ხალხური სიმღერის მუზეუმსა და ხეთის მხარეთმცოდნეობისა და საბრძოლო დიდების მუზეუმში გაიმართა თვითნასწავლი მხატვრისა და ფოტოგრაფის ირაკლი შონიას ნახატების და ფოტო-ნამუშევრების გამოფენა-დათვალიერება.

სასწავლო-შემეცნებითი პროექტის „ეტალონი“ ფარგლებში მორიგი ინტელექტ-შეჯიბრი გაიმართა ხობში და გამოვლინდა გამარჯვებული მოსწავლე.

მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების კურსდამთავრებულთათვის ხეთის თეატრონზე გაიმართა ახალგაზრდული კონცერტი ცნობილი მომღერლების მონაწილეობით, ხოლო ბავშვთა საერთაშორისო დღეს, ქუთაისის თოჯინების თეატრი ბაგა-ბაღების აღსაზრდელების წინაშე ორი სპექტაკლით წარსდგა.

კულტურისა და განათლების სფეროს განვითარებასთან ერთად, მნიშვნელოვანი ყურადღება ექცევა და მნიშვნელოვანი აქტივობით გამოირჩევა სპორტის სფერო.

სასკოლო-სპორტულ ოლიმპიადაში მონაწილეობა მიიღო მუნიციპალიტეტის 25 სკოლამ, ხოლო სპორტულ ასპარეზობებში ჩაბმული იყო 958 მოსწავლე. მუნიციპალურ პირველობებში გამარჯვებულმა სკოლებმა რეგიონულ ტურში იასპარეზეს. აღსანიშნავია რომ „მხიარულ სტარტებში“ რეგიონული პირველობის გამარჯვებული ქალაქ ხობის № 1 საჯარო სკოლის გუნდი გახდა.







ტრადიციულად გაიმართა მუნიციპალიტეტის პირველობები მაგიდის ჩოგბურთში, მკლავჭიდში, ფეხბურთსა და ბილიარდში.

წინა წლების მსგავსად, საერთაშორისო პირველობებზე წარმატებით იასპარეზეს ხობელმა სპორტსმენებმა:

ბერძნულ-რომაული სტილით ჭიდაობაში ნუგზარ წურწუმია ახალგაზრდებს შორის და დავით გვასალია ჭაბუკებს შორის ევროპის ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორები გახდნენ.

ბულგარეთში გამართულ ევროპის ჩემპიონატზე ჭაბუკებს შორის ხობელმა მოკრივემ ბაკურ ჩიქოვანმა ვერცხლის მედალი მოიპოვა.

უნგრეთში, მკლავჭიდში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატზე 21 წლამდე სპორტსმენებს შორის გიგა კოდუამ, დიტო ბუკიამ და 2017 წლის ევროპის ვერცხლის მედალოსანმა დათუნა ჟიშკარიანმა ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს.

საქართველოს ჩემპიონი ტაეკვონდოში ქრისტინე ბუკია გახდა, ხოლო ჭადრაკში საქართველოს ჩემპიონატის ვერცხლის მედალი ლიკა ჭანტურიამ მოიპოვა.

საერო საეკლესიო დღესასწაულის „ცოტნეობის“ ფარგლებში სამსახურის ორგანიზებით ჩატარდა მუნიციპალიტეტის პირველობა ჭადრაკში, ნარდსა და ჭიდაობაში.

მოსახლეობის ინტერესი ლე-

5

# ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების ძალისხმევით პოზიტიური შედეგები მიღწეულია

## ხობის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წელს გაწეული მუშაობის ანგარიში

4

ლობურთისადმი განსაკუთრებულია. სპორტის ეს ძირძველი სახეობა ჩვენი მუნიციპალიტეტისათვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს და მისი აღდგენა-პოპულარიზაციის საქმეში აქტიურად არის ჩაბმული. ყოველწლიურად ტარდება მუნიციპალიტეტის პირველობა ლელობურთში, იზრდება მონაწილეთა რაოდენობა.

საახალწლო ღონისძიებები ჩატარდა სამუსიკო სკოლასა და მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრის დარბაზში.

საჯიჯაოს და ქვემო ქვალონის კულტურის სახლებში წლის განმავლობაში ჩატარდა რამდენიმე საინტერესო ღონისძიება, რაც ამ ადმინისტრაციულ ერთეულებში მოსახლეობის ინტერესსა და მოწონებას იმსახურებს.

ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის შესწავლას, სოციალური და ჯანმრთელობის მუნიციპალური პროგრამების შემუშავებას და შესაძლებლობის ფარგლებში, მათთვის სათანადო დახმარების გაწევას. ამ კუთხით, მერია თავის უფლებამოსილებას ახორციელებს შრომის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, ვეტერანთა, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა საქმეების სამსახურის მეშვეობით.



მუნიციპალიტეტში ერთიანი სოციალური და ჯანდაცვის მუნიციპალური პროგრამა, 2017 წელს 446430 ლარით განისაზღვრა, აქედან სოციალური პაკეტი–416550 ლარით, ხოლო ჯანდაცვის მუნიციპალური პაკეტი–29880 ლარით. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად, სოციალური პაკეტი გაიზარდა 13540 ლარით და საანგარიშო პერიოდისთვის 430090 ლარი შეადგინა.

სოციალური პაკეტით ერთჯერად ფულად დახმარებებზე გათვალისწინებული იყო 55000 ლარი, სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის მუნიციპალური პროგრამების უზრუნველყოფის კომისიაში შემოვიდა 1100 განცხადება. საკითხის დეტალურად შესწავლის შემდეგ, 576 მოქალაქეზე გაიცა 54990 ლარის ფულადი დახმარება.

საოპერაციო დახმარების სახით, 211 ავადმყოფზე გაიცა 114000 ლარის საგარანტიო წერილი;

236 ახალშობილზე გაიცა 35900 ლარი, აქედან: პირველ და მეორე ბავშვზე–100 ლარი (175 ახალშობილი), ხოლო მე-3 და ზევით, თითოეულზე–300 ლარი (61 ახალშობილი);

მრავალშვილიანთა დახმარების სახით, სარვამარტოდ ბიუჯეტიდან დაფინანსდა 75 ოჯახი, 11250 ლარით;

უმწეოთა სასადილო დაფინანსდა 64000 ლარით, სადაც დღეში 1-ჯერ იკვებება 120 ბენეფიციარი;

სარვამარტოდ, 100 წელს გადაცილებულ 2 ქალბატონს პირად ანგარიშზე ჩაერიცხა 150-150 ლარი;

უმწეო კატეგორიის 80 ოჯახს, წყლის საფასურის სუბსიდირებისთვის ჩაერიცხა საერთო ჯამში 8587 ლარი;

სოციალურად დაუცველ 21 ოჯახზე, სახლების სარეაბილიტაციოდ საერთო ჯამში გაიცა 37600 ლარი;

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე 11 ბავშვზე (0-18 წლამდე) გაიცა 5675 ლარის თანადაფინანსების საგარანტიო წერილი;

დიალიზზე მყოფი 13 მოქალაქის სატრანსპორტო ხარჯის ასანაზღაურებლად გადაირიცხა 13400 ლარი;

აფხაზეთის ომში დაღუპულთა 15 ოჯახზე გაიცა ერთჯერადი ფულადი თანხა, თითოეულ ოჯახზე–200-200 ლარი;

8 აგვისტოს ომში დაღუპულთა 9 ოჯახზე გაიცა 1800 ლარი;

ჩერნობილის ტრაგედიის მონაწილე 14 პირზე გაიცა 1400 ლარი;

ხანძრითა და სტიქიით დაზარალებულ 17 ოჯახს ჩაერიცხა 24412 ლარი;

9 მაისს, ფაშიზმზე გამარჯვების დღესთან დაკავშირებით, 2 ვეტერანს ჩაერიცხა 500 ლარი, თითოეულს 250-250 ლარი.



C ჰეპატიტით ინფიცირებულთა პირველადი გამოკვლევების თანადაფინანსების მიზნით 151 ინფიცირებულზე გაიცა 29500 ლარის საგარანტიო წერილი;

C ჰეპატიტის გამოვლენის მიზნით ნოჯიხევის, ძველი ხიბულის და ახალი ხიბულის ადმინისტრაციულ ერთეულებში დამატებით ჩატარდა ექსპრეს ანალიზი. გამოკვლევებმა აჩვენა რომ ინფიცირებულთა მაჩვენებელი მაღალია.

ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულია 4000-მდე იძულებით გადაადგილებული პირი. მათ შორის 1766 კომპაქტურადაა ჩასახლებული, ხოლო 2234 კერძო სექტორში ცხოვრობს. იძულებით გადაადგილებული პირები ადგილობრივი მოსახლეობის მსგავსად, თანაბრად სარგებლობენ სოციალური დახმარების და ჯანდაცვის მუნიციპალური პროგრამებით.

ადგილობრივი თვითმმართველობა, ექსკლუზიური უფლებამოსილების ფარგლებში ჯანდაცვის დამატებითი ექიმამდელი დახმარების პროგრამას ახორციელებს. პროგრამა ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებით შემუშავდა და მისი ბიუჯეტი 29880 ლარს შეადგენს. სახელმწიფო პროგრამის გარეშე დარჩენილ ადმინისტრაციულ ერთეულებში, მოსახლეობა საექიმო და ექიმამდელ დახმარებას იღებს. აღნიშნული პროგრამით 6500-მდე ბენეფიციარმა ისარგებლა.

საანგარიშო წელს განხორციელდა ძველი ხიბულის და ქარიატის ადმინისტრაციული ერთეულების ამბულატორიების რეაბილიტაცია. ეს პროცესი გაგრძელდება და ადგილობრივი თვითმმართველობა, მის საკუთრებაში არსებულ სასოფლო ამბულატორიებს ეტაპობრივად კეთილმოაწყობს.

ადგილობრივ თვითმმართველობას, გარდა ზემოთ ჩამოთვლილი საკუთარი უფლებამოსილებების ფარგლებში განხორციელებული საქმიანობისა, სახელმწიფოს მხრიდან დელეგირებული აქვს სხვადასხვა უფლებამოსილების განხორციელების უფლება. მათ შორისაა მოქალაქეთა სამხედრო აღრიცხვა და წვევამდელთა გაწვევის ორგანიზება. რომელსაც მერია ახორციელებს წვევამდელთა, რეზერვისტთა, სამხედრო აღრიცხვის, გაწვევის და მობილიზაციის სამსახურის მეშვეობით. სამსახური უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტში მცხოვრებ მოქალაქეთა სამხედრო აღრიცხვაზე აყვანას, სამხედრო სამსახურისთვის მომზადებას, სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევას, მობილიზაციასა და სამხედრო ძალების რეზერვთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტას.

მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, 2017 წლის იანვარ-აპრილში განხორციელდა 2000 წელს დაბადებულ მოქალაქეთა პირველად სამხედრო აღრიცხვაზე აყვანა.

ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან და ორგანიზაციებიდან გამოთხოვილიქნა 2000 წელს დაბადებულ ჭაბუკთა სახელობითი სიები (ფორმა №1). პირველად სამხედრო აღრიცხვაზე ასაყვან 2000 წელს დაბადებულ ჭაბუკთა საერთო რაოდენობამ მოწოდებული ფორმა №1-ის მიხედვით შეადგინა 196. შესაბამისად სამსახურის მიერ შედგენილ იქნა 2000 წელს დაბადებულ ჭაბუკთა საერთო სახელობითი სია (ფორმა №2). ასევე თითოეულ ჭაბუკზე შეიქმნა პირადი საქმე სათანადო დოკუმენტაციითურთ. პარალელურად შეიქმნა 2000 წელს დაბადებული ჭაბუკების პირველად სამხედრო აღრიცხვაზე აყვანის ანბანური წიგნი. სამართალდამცავი ორგანოებიდან და სამედიცინო დაწესებულებებიდან გამოთხოვილ იქნა იმ ჭაბუკთა სახელობითი სია, რომლებიც იმყოფებიან აღრიცხვაზე.

2017 წლის 30 აპრილს დასრულდა 2000 წელს დაბადებული ჭაბუკების პირველად სამხედრო აღრიცხვაზე აყვანა. აღრიცხვაზე აყვანილია 188 ჭაბუკი.

ზღვრული ასაკის შესრულების გამო მეორე თანრიგის რეზერვში ჩაირიცხა 133 წვევამდელი. კანონით დადგენილი შეღავათი გაუფორმდა 343 წვევამდელს. მათ შორის: 88–სტუდენტია, 70- სკოლის მოსწავლე, 4–ორი შვილის მშობელი, 11–დედისერთა, 8 –ერთი შვილის მშობელი (შვილის შეძენის დღიდან 3 წლის ვადით). ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, 1 წლამდე ვადით გადავადება მიეცა 46 წვევამდელს. სამხედრო სამსახურისათვის შეზღუდულადვარგისად ცნობილიქნა 113 წვევამდელი; სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევისაგან განთავისუფლდა 6 წვევამდელი; გამოკვლევაზე გაიგზავნა 5 წვევამდელი;

სამსახურის მიერ სამხედრო აღრიცხვაზე აყვანილია 149 რეზერვისტი. სხვადასხვა მიზეზების გამო სამხედრო აღრიცხვიდან მოიხსნა 358 რეზერვისტი. შინაგან საქმეთა სამინისტროდან და სასჯელაღსრულების დეპარტამენტიდან მიღებული მომართვების საფუძველზე სპეცაღრიცხვაზე გადაყვანილია 64 რეზერვისტი. ზღვრული ასაკის გამო აღრიცხვიდან მოიხსნა 275 რეზერვისტი. საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის ჟ-1 და შ-1 სამმართველოებიდან მიღებული მომართვების საფუძველზე საქართველოს შეიარაღებულ ძალებში გაწვეულია 20 რეზერვისტი, აქედან 1 წვევამდელი. გაცემულია საქართველოს რეზერვისტის 109 დროებითი მოწმობა.

დელეგირებული უფლებამოსილებების განხორციელების პროცესში განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს 2016 წელს საქართველოს კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებების საფუძველზე მუნიციპალიტეტისთვის დამატებით მინიჭებული უფლებამოსილებების ფარგლებში მერიის (გამგეობის) მიერ წარმოებული საქმიანობა. მათ შორისაა სახელმწიფო პროექტის ხელშეწყობა მიწების რეგისტრაციის პროცესში. რომლის ფარგლებშიც გამორჩეული აქტივობებისა და საჯარო რეესტრთან საკუთარი მოსახლეობის ინტერესში თანამშრომლობის მაღალი ხარისხის გამო ხობის მუნიციპალიტეტი დასახელდა 6 მოწინავე მუნიციპალიტეტს შო-

6

# ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების ძალისხმევით პოზიტიური შედეგები მიღწეულია

## ხობის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წელს გაწეული მუშაობის ანგარიში



6

რის.

მერიის სამსახურები აქტიურად არან ჩართულნი მერთან შექმნილ თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის მუშაობაში, რაც გამოიხატება ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების აღიარებაზე. კომისიაში სულ შემოსულია 1053 განცხადება, აქედან განხილულია 625, დაკმაყოფილდა 285 განცხადება და გაიცა საკუთრების უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი; 340 განმცხადებელს უარი ეთქვა საკუთრების აღიარებაზე, 86 განცხადება დარჩა განუხილველად, ხოლო 342 განცხადება განხილვის პროცესშია.

სახელმწიფო პროექტის ფარგლებში, ხობის მუნიციპალიტე-



ტის მერიაში (გამგეობაში) მიწის ნაკვეთის იდენტურობის დადგენის მიზნით, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან ასევე შემოსულია 964 კორესპონდენცია 872 საკითხის შესასწავლად, რომელთა განხილვის პროცესში, უფლების დამადასტურებელი დოკუმენტით გათვალისწინებული მიწის ნაკვეთისა და მიწის ნაკვეთის საკადასტრო აგეგმვით/აზომვით ნახაზზე ასახული მიწის ნაკვეთის იდენტურობის დადგენის პროცესში შედგენილია სახელმწიფო პროექტის ფარგლებში უძრავი ნივთის ადგილზე დათვალიერების 872 ოქმი და გამოცემულია მერის (გამგებლის) წარმომადგენლების 596 ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი–ბრძანება, რაც სათანადო დოკუმენტაციასთან ერთად გადაგზავნილია საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში.

წარმოგიდგინეთ და გაანალიზდა მერიის იმ სამსახურების საქმიანობა, რომლებიც მერიაში შექმნილია დარგობრივი პრინციპით და რომელთა საქმიანობა უშუალოდ აისახება მუნიციპალიტეტსა და მის მოსახლეობაზე. რაც შეეხება მერიის შიდა სამსახურებრივ საქმიანობას და მერიის სამსახურების საქმიანობის ორგანიზაციულ უზრუნველყოფას, მას ახორციელებს მერიის ადმინისტრაციული სამსახური, სადაც აღირიცხება და ფიქსირდება მერიის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ მონაცემები თითოეულ მიმართულებაზე, ხოლო ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და მოსამსახურეების საქმიანობის კონტროლს ახორციელებს მერიის შიდა აუდიტისა და კონტროლის სამსახური.

ადმინისტრაციული სამსახური ახორციელებს მერიის საქმიანობის ორგანიზაციულ, ანალიტიკურ, საინფორმაციო, სამართლებრივ და მატერიალურ-ტექნიკურ უზრუნველყოფას. მისი ძირითადი ფუნქციაა მერიაში ერთიანი საქმისწარმოების, საკადრო საკითხთა, საზოგადოებასთან ურთიერთობისა და საქმიანობის სამართლებრივი უზრუნველყოფა, მერიის თანამდებობის პირთა და საჯარო მოსამსახურეთა ფუნქციებით მინიჭებულ უფლება-მოვალეობათა შესრულებისთვის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა, მერიის კავშირურთიერთობების ორგანიზება საზოგადოებასთან და დაწესებულებებთან.

სამსახური უზრუნველყოფს მერიაში დანერგილი საქმისწარმოების ავტომატიზებული ელექტრონული სისტემების - დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემისა და მუნიციპალიტეტების მართვის სისტემის ადმინისტრირებას, რომლებშიც სრულად აისახება მერიის მიერ წარმოებული კორესპონდენცია და აღნიშნული საქმიანობა საკმაოდ წარმატებულად ხორციელდება.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მერიის სამსახურებისა და მოსამსახურეთათვის სათანადო სამუშაო პირობების შექმნას და მის მუდმივ გაუმჯობესებას, რაც გამოიხატება მატერიალური და ტექნიკური უზრუნველყოფისთვის განხორციელებული აქტივობებით. უნდა აღინიშნოს, რომ ტექნიკური უზრუნველყოფის კუთხით ხობის მუნიციპალიტეტის მერია ერთ-ერთი გამორჩეული დაწესებულებაა, რომელიც უზრუნველყოფილია როგორც აუცილებელი ტექნიკური საშუალებებით, ასევე, თანამედროვე მოთხოვნების გათვალისწინებით სიახლეების დანერგვით.

უნდა აღინიშნოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ვალდებულებების შესაბამისად, ადმინისტრაციული სამსახურის მიერ უკანასკნელ წლებში განხორციელებული საქმიანობა საჯარო კონკურსებისა და ზოგადად ადამიანური რესურსების მართვის კუთხით. 2017 წლის განმავლობაში ოთხ ეტაპად განხორციელდა საჯარო კონკურსები გამგეობის (მერიის) მოხელის 2 ვაკანტურ თანამდებობაზე და შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ 5 ვაკანტურ პოზიციაზე კანდიდატთა დასანიშნად, მათ შორის, სამი კონკურსი (1 ღია კონკურსი და 2 გამარტივებული კონკურსი) ჩატარდა 2017 წლის 1 ივლისიდან ამოქმედებული „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს ახალი კანონის საფუძველზე.

„საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს ახალი კანონის ამოქმედებისთვის, გამგეობის ხელმძღვანელ პირებთან ერთად განხორციელდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებები გამგეობაში გათვალისწინებულ მოხელეთა თანამდებობებისა და შრომითი ხელშეკრულებებით გათვალისწინებული პოზიციების პროფესიულ საჯარო მოხელეთა იერარქიულ რანგებსა და შრომითი ხელშეკრულებით განსასაზღვრ პოზიციებზე განაწილების კუთხით და 2017 წლის 1 ივლისისთვის გამოიცა ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის 143 ბრძანება მერიაში დასაქმებულ მოსამსახურეთა დანიშვნების ბრძანებებში ცვლილებების შესახებ. პარალელურად, ახლიდან განისაზღვრა და შესაბამის რანგებსა და თანამდებობათა დასახელებებზე განწერით მომზადდა თითოეული მოხელის ფუნქცია-მოვალეობები (თანამდებობრივი ინსტრუქციები), ხოლო ადამიანური რესურსების მართვის ავტომატიზებული სისტემაში (eHRMS) აისახა მოსამსახურეთა თანამდებობრივი დასახელებების შესაბამისი ცვლილებები. ანალოგიური სამუშაოები განხორციელდა 2017 წლის ნოემბრისთვის, გამგეობის მერიად გარდაქმნის პროცესში.

სამსახურის საქმიანობის პროცესში განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს სახელმწიფოსგან მუნიციპალიტეტისთვის დელეგირებული უფლებამოსილებების განხორციელების პროცესში წარმოებული საქმიანობა. „სახელმწიფო პროექტის ფარგლებში მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის სპეციალური წესისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ" საქართველოს კანონით სახელმწიფოს მიერ მუნიციპალიტეტისთვის დელეგირებული უფლებამოსილებების განხორციელების პროცესში განხილულია 964 განაცხადი და რაზეც ანგარიშში უკვე გავამახვილეთ ყურადღება.

უნდა აღინიშნოს საინფორმაციო უზრუნველყოფის კუთხით გატარებული საქმიანობა და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მიმდინარე აქტივობების გაშუქება. ასევე, ხობის მუნიციპალიტეტის ოფიციალური ვებ-გვერდის ფუნქციონირების საკითხი, რომლის გაუმჯობესების მიზნით, ინფორმაციულად უფრო დატვირთულად და ვიზუალურად და თემატურად მრავალფეროვნების უზრუნველსაყოფად დაწყებულია სათანადო წინადადებების მომზადება. მიზნად ვისახავთ, ვებ-გვერდზე სრულად აისახოს არამარტო ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს სტრუქტურა და მისი საქმიანობა, არამედ ვებ-გვერდმა სრულად უნდა მოიცვას მუნიციპალიტეტში არსებული სახელმწიფო, ადგილობრივი, თუ კერძო სტრუქტურების სამოქმედო სფეროები, მათი მიზნები და ამოცანები. უფრო მეტად საჯარო გახდეს თუნდაც თითოეულ უწყებაში დასაქმებული მოსამსახურის ვინაობა და მათი საქმიანობა... და ყველაზე მთავარი: შესაძლებლობის ფარგლებში სრული ინფორმაცია მივაწოდოთ საზოგადოებას როგორც მუნიციპალიტეტის ამჟამინდელი ცხოვრების შესახებ, ასევე მისი ისტორიისა და გეოგრაფიული ღირსშესანიშნაობების თაობაზე. ამ კუთხით უკვე გადადგმულია გარკვეული ნაბიჯები და 2017 წლის მდგომარეობა მკვეთრად განსხვავდება წინა წლებისაგან ინფორმაციული უზრუნველყოფისა და მერიის ვებ-გვერდის და სოციალური გვერდის აქტივობის კუთხით.

სამსახურის საქმიანობიდან მეტად საპასუხისმგებლო ფუნქციას წარმოადგენს მერიის სამართლებრივი უზრუნველყოფა, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება მერის და საკრებულოს სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადება, სამსახურების მიერ მომზადებული სამართლებრივი აქტების ექსპერტიზა და შესაბამისი დასკვნებისა და რეკომენდაციების შემუშავება, იურიდიული დასკვნების მომზადება და საჭიროების შემთხვევაში მუნიციპალიტეტის ინტერესების დაცვა სამართლებრივ ურთიერთობებში სახელმწიფო ორგანოებთან, ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან.

2017 წლის განმავლობაში სამსახურის მიერ, ან სამსახურის უშუალო მონაწილეობით მომზადდა და გამოიცა ხობის მუნიციპალიტეტის მერის (გამგებლის) 1737 ბრძანება. საკრებულოს განსახილველად და შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად წარედგინა სამსახურის მიერ, ან სამსახურის თანამონაწილეობით მერიის (გამგეობის) სამსახურების მიერ მომზადებული საკრებულოს დადგენილების 51 პროექტი და საკრებულოს განკარგულების 37 პროექტი. სხვადასხვა სახის სახელშეკრულებო პირობების დარღვევის გამო გამოიცა 43 იურიდიული დასკვნა პირგასამტეხლოს დაკისრების ან პირგასამტეხლოს დაკისრებაზე უარის თქმის შესახებ. განყოფილების მოსამსახურეები საანგარიშო პერიოდში მუნიციპალიტეტის ინტერესებს იცავდნენ და მონაწილეობდნენ სასამართლო განხილვებში. გარდა მერიის (გამგეობის) სამსახურებისა და ადგილობრივი ორგანიზაციებისა, არაერთ მო-

7

# ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების ძალისხმევით პოზიტიური შედეგები მიღწეულია

## ხობის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წელს გაწეული მუშაობის ანგარიში

6

ქალაქეს და ორგანიზაციას მიუღია სამართლებრივი განმარტება და დახმარება სხვადასხვა სახის პრობლემურ საკითხთან დაკავშირებით. ამ კუთხით მუშაობა და საზოგადოებასთან და ორგანიზაციებთან კავშირურთიერთობა სისტემატურ ხასიათს ატარებს და სხვადასხვა თემატიკასთან შეხება თვით მოსამსახურეთათვისაც მეტი გამოცდილების მიღების გარანტიაცაა.



ანგარიშში აღწერილი ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობის ეფექტურობის გაზრდისა და შიდა კონტროლის მიზნით, როგორც აღვნიშნეთ, მერიაში ფუნქციონირებს შიდა აუდიტისა და კონტროლის სამსახური.

სამსახურის მიზანია, უზრუნველყოს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და მუნიციპალიტეტის იურიდიული პირების საქმიანობის სრულყოფა და კანონიერება, ფინანსების მართვის გაუმჯობესება, სახსრების, სხვა მატერიალური ფასეულობის ხარჯვისა და გამოყენების კანონიერება, მიზნობრიობის დაცვა და ეფექტიანობის გაზრდა.

შიდა აუდიტისა და კონტროლის სამსახურის მიერ განხორციელდა ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ დაფუძნებული ორი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ერთი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების და ხობის მუნიციპალიტეტის მერიის (გამგეობის) ხუთი სტრუქტურული ერთეულის შიდა აუდიტორული შემოწმება, კერძოდ, შემოწმდა ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო გაერთიანება", ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი", შპს „ხობი დასუფთავება და განათება", მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური, ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახური, მერიის ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახური; შრომის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, ვეტერანთა, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა საქმეების სამსახური, ადმინისტრაციული სამსახური.

სამსახურმა, ასევე, განხორციელა გაწეული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი. გარდა ამისა, შიდა აუდიტისა და კონტროლის სამსახური მუშაობს კონტროლის კუთხით. კერძოდ, ამოწმებს მერიასა და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ იურიდიულ პირებში დისციპლინისა და კანონიერების დაცვის სამსახურეობრივ კონტროლს.

გარდა მერიის (გამგეობის) მიერ განხორციელებული, ანგარიშში ჩამოთვლილი საქმიანობისა, აღმასრულებელი ორგანოს კომპეტენციას მიეკუთვნება მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების საქმიანობის კოორდინირება და კონტროლი, რომლის ფარგლებშიც 2017 წლის განმავლობაში განსაკუთრებული მიდგომა იქნა გამოხატული. პერიოდულად მუშავდება წინადადებები მათი საქმიანობის ეფექტურობის გაზრდისა და შესაბამისი სფეროების მიხედვით მუნიციპალიტეტისათვის მისაღები დადებითი შედეგების გაზრდისათვის.

2017 წლის განმავლობაში, მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებდა მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული 5 იურიდიული პირი, მათ შორის 4 არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, ხოლო 1–შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, ესენია:

ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო გაერთიანება";

ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო, საზოგადოებრივი ცენტრი";

ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი";

ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბი „კოლხეთი";

შპს „ხობი დასუფთავება და განათება".

ზემოთ ჩამოთვლილი იურიდიული პირების საქმიანობით მიღებული შედეგები ასახულია ამ იურიდიული პირების ანგარიშებში, ხოლო მათ საქმიანობაში სისტემატური ჩართულობაა მერიის შესაბამისი სამსახურებიდან.

იურიდიული პირები შექმნილია მუნიციპალიტეტის საქმიანობის კოორდინირების მიზნით და მათ საქმიანობაში სისტემატური ჩართულობაა მერიის შესაბამისი სამსახურებიდან. 2016 წლის მიწურულს და 2017 წლის დასაწყისში მომზადდა წინადადებები მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი ადგილობრივი თვითმმართველობის იურიდიული პირების შემდგომი ფუნქციონირების შესახებ და მართვის გაუმჯობესებისა და შესაბამის სფეროებში დადებითი ეფექტების მისაღწევად განხორციელდა ცალკეულ იურიდიულ პირთა შერწყმა და ახალი იურიდიული პირის დაფუძნება. საკითხის გადაწყვეტამდე, კი ერთიანი ძალისხმევით, მოწესრიგდა გასული ათწლეულის განმავლობაში ამ იურიდიული პირების სარეგისტრაციო მონაცემებში დაგროვილი ხარვეზები.

ანგარიშში აღწერილი მერიის (გამგეობის) საქმიანობა, დოკუმენტურად ფიქსირდება ამ საქმიანობის პროცესში შექმნილი დოკუმენტაციით, რომლის მოცულობამ 2017 წლის მონაცემებით შთამბეჭდავ სტატისტიკას მოიცავს, კერძოდ:

მერიის (გამგეობის) საქმისწარმოების პროცესში, 2017 წლის განმავლობაში, მართვის ავტომატიზებული სისტემების მეშვეობით რეგისტრირებულია 18326 დოკუმენტი, მათ შორის: 8645 შემოსული კორესპონდენცია, 1957 შიდა კორესპონდენცია, 5979 გასული კორესპონდენცია და 1745 სამართლებრივი აქტი (მათ შორის: პირადი შემადგენლობის შესახებ - 826 ბრძანება, საფინანსო საკითხების შესახებ–140 ბრძანება, ქონების განკარგვის შესახებ–15 ბრძანება, სანებართვო პირობების შესახებ–98 ბრძანება, სოციალური დახმარების შესახებ–493 ბრძანება, სამხედრო ვალდებულებების შესახებ–56 ბრძანება, არაკლასიფიცირებული საკითხების შესახებ–109 ბრძანება).

მერიის საქმიანობის პროცესში ხშირია საკონსულტაციო და სარეკომენდაციო ხასიათის შეხვედრები და სატელეფონო საუბრები, ასევე ინფორმაციის მოთხოვნა საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციიდან, საქართველოს იუსტიციისა და რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროებიდან, სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის ადმინისტრაციიდან, სხვადასხვა სამთავრობო, თუ არასამთავრობო ორგანიზაციიდან. მიღებული ინფორმაციები და გაწეული რეკომენდაციები ანალიზდება და მერიის შესაბამის სამსახურებთან ერთად ყალიბდება ერთიანი აზრი სამომავლოდ გასატარებელ ღონისძიებათა თაობაზე. განსაკუთრებული და მჭიდრო თანამშრომლობაა საქართველოს პარლამენტის ხობის მაჟორიტარ წევრთან და სახელმწიფო რწმუნებულის–გუბერნატორის ადმინისტრაციასთან, რომელთა მხარდაჭერით და ინიციატივით არაერთი ღონისძიება განხორციელდა და სამომავლოდაც დაიგეგმა.



წინამდებარე ანგარიშით აშკარად ჩანს ის პოზიტიური შედეგები, რაც ადგილობრივი ხელისუფლების საქმიანობით არის მიღწეული და ასევე აშკარად იკვეთება მცდელობა შემდგომი ეტაპებისთვის უკეთესი შედეგების მისაღწევად. მიუხედავად იმისა, რომ უმეტესწილად ყურადღება გამახვილდა პოზიტიურ შედეგებზე, ეს არ გვაძლევს თვითდამშვიდების საშუალებას, ვინაიდან საქმიანობის პროცესში ხშირია ასევე შეფერხებები და ნაკლოვანებები, რომელთა უმეტესობა ოპერატიულად გვარდება, თუმცა გარკვეული ნაწილი ანალიზს საჭიროებს სათანადო რეაგირების გზების შესამუშავებლად.

მოსახლეობის ინტერესებისა და მოთხოვნების დაკმაყოფილებისთვის ფრიად მნიშვნელოვანია ადგილობრივ თვითმმართველობას გააჩნდეს კომპეტენციების ფართო სპექტრი, რაც საშუალებას მოგვცემს ადგილობრივ დონეზე ოპერატიულად მოგვარდეს მათთვის აქტუალური საკითხები. ამის საშუალებას იძლევა ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი, რომლის მიხედვითაც გარდა თვითმმართველობებისთვის ადრე მინიჭებული უფლებამოსილებებისა, მათ გადაეცა ფუნქციები ისეთი სფეროების რეგულირებისა, როგორიცაა დასაქმების ხელშეწყობა, სოფლის მეურნეობის, მათ შორის, სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის მხარდაჭერა და ტურიზმის განვითარება, სოციალური დახმარების, ჯანდაცვის, ადგილობრივ დონეზე ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარების ხელშეწყობა, მასობრივი სპორტის ხელშეწყობა, გარემოს დაცვის, საზოგადოებრივი განათლების, გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა, ადგილობრივი მნიშვნელობის არქივის წარმოება, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება, ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნა, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ინვესტიციების მოზიდვა, ინოვაციური განვითარების მხარდაჭერა.

თითოეული საქმე დიდი შრომის შედეგად არის მიღწეული, რომელშიც აქტიურად იყო და არის ჩართული საზოგადოების ფართო სპექტრი და სამომავლო საქმიანობაც მსგავსი პრინციპების გათვალისწინებით იგეგმება.

ჩვენი მიზანია მაქსიმალურად ავამოქმედოთ და გამოვიყენოთ ყველა რესურსი საზოგადოების შემდგომი განვითარებისთვის და ამ მიზნების განხორციელებისათვის მაქსიმალური ხელშემწყობი გარემო შევქმნათ.

***გოჩა ქაჯაია,***
***ხობის მუნიციპალიტეტის მერი, 2018 წლის ივნისი.***



***პირველმაისელთა ინტერესის სფეროს ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება წარმოადგენს. ყველას სურს თავისი სოფელი გამორჩეული იყოს და მოსახლეობა უზრუნველყოფილი ელემენტარული, უპირველესი მოხმარებისთვის აუცილებელი პირობებით, როგორიცაა მაგისტრალური სასმელი წყალი, ბუნებრივი აირი, კეთილმოწყობილი შიდა სასოფლო გზები...***

***პირველი მაისი ქალაქ ხობიდან მხოლოდ ოთხიოდე კილომეტრითაა დაშორებული, თუმცა ისეთი მნიშვნელოვანი რამ, როგორიცაა მაგისტრალური სასმელი წყალი მე-20-ე საუკუნიდან დღემდე ოცნებად გადაექცათ სოფლის მცხოვრებლებს, მათ ეგონათ, წლის დასაწყისიდანვე დაიწყებოდა სოფლის სრული გაზიფიცირება და წყლის დაქსელვითი სამუშაოები. მაგრამ...***

***ხობის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლის ქალბატონ მარინე ლაგვილავას მრავალგზის მცდელობისა, ეს სამუშაოები ჯერაც არ დაწყებულა. მის დაწყებამდე მრავალი ინსტანციაა გასავლელი. მისი თქმით ყველაფერი უახლოეს დროში დარეგულირდება. კეთილდღეობისთვის სოფელი მოლოდინის რეჟიმშია.***

***„ხობის მოამბე“ დაინტერესდა ამ საკითხებით და ქალბატონ მარინეს კითხვებით მიმართა...***

# „ყველა პრობლემა ეტაპობრივად მოგვარებადია“

***ქალბატონო მარინე, რას იტყოდით თქვენს მიერ დაანონსებულ გაზიფიცირებისა და მაგისტრალური წყლის შემოყვანასთან დაკავშირებულ საკითხებზე?..***

–მოგესალმებით და მივესალმები თქვენი გაზეთის მკითხველებს. მინდა ჩვენი მუნიციპალიტეტის აღმშენებლობასა და განვითარებაში წვლილი დაიდოს პირველმაისელებმა და ჩვენთან მეტი პოზიტიური საკითხების გადაწყვეტა ხდებოდეს.



ჩვენი სოფელი მრავალი გამოწვევის წინაშე დგას. მთავარი მაგისტრალური წყალი და გაზიფიცირებაა.

2017 წელს ხობის მუნიციპალიტეტის დაფინანსებით შექმნილიქნა პროექტი ადმინისტრაციულ ერთეულში მაგისტრალური წყლით დაქსელვისთვის, რითაც მთელი სოფელი დაიქსელება. ეს სამუშაოები შესრულდება მუნიციპალიტეტის განვითარების ფონდის დახმარებით. აღნიშნულ პროექტს გავლილი აქვს ყველა საჭირო ისტანცია.

არსებობს ექსპერტების ჯგუფის დასკვნები, გადაწყვეტილება მიღებულია, ყველა დოკუმენტაცია გადაგზავნილია, პროექტი ელოდება მსოფლიო ბანკიდან დაფინანსებას.

ასევე ამ ეტაპზე გაკეთდა გზის პროექტი, რომელიც ბულიწყუს მოიცავს. პროექტი 15 ივნისს ჩაბარდა. შესაბამისი სტრუქტურის ექსპერტთა ჯგუფის განხილვის შემდეგ ეს პროექტი გავა ტენდერზე. ამ წელს პროექტი აუცილებლად განხორციელდება.

სოფელ საკვიკვინიოსა და ჭიხუს უბანში კი 76 ოჯახში უკვე შეყვანილია „ცისფერი ალი“, მასიური გაზიფიცირების საკითხი ჯერჯერობით ისევ გადაწყვეტის ფაზაშია.

***აზიური ფაროსანას წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებებზე რას გვეტყვით, კვლავ გაგრძელდება შეწამლვითი სამუშაოები, რომელიც უკვე კარგა ხანია დაიწყო?***

–აზიური ფაროსანა არის მწერი „შავი ჭირი“, რომელმაც შარშან ყველანაირი მოსავალი გაანადგურა, მხოლოდ სიმინდის ფართობებს ვუშველეთ. წელს დაისახა გეგმა და ამ გეგმის მიხედვით ვახდენთ შეწამლვის სამუშოებს ორ კვირაში ერთხელ თერმული ნისლით. ასევე სოფელში 36 ადგილზე საჭიროების შემთხვევისთვის განთავსებულია ფერომონები. შეწამლვა ხორციელდება ხსნარით, ამავე დროს გარკვეული ფერომონების საშუალებით სესის ახორციელებს მონიტორინგს თუ სად რა მდგომარეობაა და ამის შემდეგ სოფლების დამუშავება ხდება თერმული ნისლით. შრომამ ნაყოფი გამოიღო, შემცირებულია ფაროსანას რაოდენობა. დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ცენტრალურ შტაბს თანადგომისთვის. სამუშაოები კვლავ გრძელდება.

***რას გვეტყვით მინდვრის სამუშაოებზე?***

–საგაზაფხულო სამუშაოები დროულად დასრულდა. აგროვადების გათვალისწინებით ჩატარდა ხვნა-თესვა, მაგრამ სოფელში დაახლოებით 30-40 ჰექტარი მიწის ფართობი დაუმუშავებულია, რაც გამოიწვია იმან, რომ მოსახლეობის ნაწილი დროებით საზღვარგარეთ სამუშაოდ არის წასული. მას ემატება ის გარემოებაც, რომ ზოგიერთ მეპატრონეს არ უნდა საყანე ფართობების ღობეების შეკეთება, რის გამოც ღიადაა დარჩენილი ფართობები. ე.ი. პრობლემებია. ვინც იშრომა, კარგია ნათესები...

***რას გვეტყვით იმ სამსახურებზე, რომლებიც სოფელში ფუნქციონირებენ. რა სიახლეებია?***

–სოფლის მოსახლეობას ემსახურება მზრუნველი ექიმი მაია შამუგია, მედდა მარინა ტყებუჩავა. მათ აქვთ კეთილმოწყობილი ოთახები. ამასწინათ სოფლის მოსახლეობის დიდი ხნის ნატვრა ასრულდა. სოფელში სტომატოლოგიური კაბინეტი გაიხსნა, რომელიც უახლესი, თანამედროვე ტექნიკითაა აღჭურვილი, დაცულია ყველანაირი მოთხოვნა, რომელიც აუცილებელია მისი სრულყოფილად მუშაობისთვის. გვყავს ბრწყინვალე ლიცენზირებული სტომატოლოგი, მოწესრიგებული ახალგაზრდა თეონა ფარცვანია. ვინც კი გაიარა მასთან პროფილაქტიკური თუ სხვა სახის მომსახურება, ყველა ძალიან კმაყოფილია.

სოფელს ემსახურება ბიბლიოთეკა მდიდარი წიგნადი ფონდით, რომელსაც ბლომად ჰყავს მკითხველი. აქ მუდამ ხალხმრავლობაა, რაც მკითხველთა წიგნებით დაინტერესების შედეგია. მკითხველები უფრო ახალგაზრდები არიან.

სოფელში შექმნილია ახალგაზრდული ცენტრი, რომლის ხელმძღვანელი იყო ლევან ბუსქანძე, მოწესრიგებული ახალგაზრდა, რომელმაც გვერდით შემოიკრიბა ახალგაზრდების გარკვეული ჯგუფი, მათი თაოსნობით ბევრი პროექტი დაფინანსდა და განხორციელდა. მახარებს, რომ სოფელში არიან მიზანდასახული ახალგაზრდები. იმედია, ისინი თავიანთ სიტყვას იტყვიან ქვეყნის წინსვლაში.

***რას ითვალისწინებს ტრადიციული „სოფლის მხარდაჭერის პროგრამა“ და რა არის ამჯერად დღის წესრიგით პრიორიტეტული და გადასაწყვეტი?***

–მოსახლეობას მინდა ვუთხრა, რომ ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი და გადასაწყვეტი, რაც მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელების გვერდში დგომით, მათი უშუალო ინიციატივითა და დახმარებით განხორციელდება. პრობლემის ერთი ხელის მოსმით გადაწყვეტა შეუძლებელია. ის ეტაპობრივად მოგვარებადია.



ამჯერად პრიორიტეტული და გადასაწყვეტია ბევრი რამ. მათ შორის წყალმომარაგების მაგისტრალური სისტემის გაყვანა, რომელსაც მთელი სოფელი სიხარულით ელოდება. იმედია, როცა მოგვარდება გაზის, წყლისა და გზების პრობლემები, მოსახლეობა ამოისუნთქავს. გაუმჯობესდება ეკონომიკური მდგომარეობა. სოფელს სიახლეები ყოველთვის დასჭირდება. მჯერა მოიძებნება გზები მის გადასაწყვეტად.

***გვიამბეთ იმ გზის პროექტზე, როგორც თქვენ აღნიშნეთ, ის ყველაზე დიდი პროექტია ჩვენს სოფელში?***

–დაიწყო ლ. გოთუას ქუჩის სარემონტო სამუშაოები. იგება ცემენტო-ბეტონის საფარი, იცვლება ხიდ-ბოგირები, კეთდება სანიაღვრე არხები. სოფლის ცხოვრებაში ეს ყველაზე დიდი პროექტია, რომელსაც გზების სამშენებლო ფირმა „პრაიმ ბეტონი“ ასრულებს.

***სოფელს ბათუს მთიდან უმშვენიერესი სამონასტრო კომპლექსი გადმოჰყურებს. ამას წინათ მონასტრის აშენებიდან ხუთი წლისთავი იზეიმეთ. რას გვეტყოდით იმ დღეზე და ხალხის მადლიერებაზე?***

–ჩვენთან არსებული სამონასტრო კომპლექსის 5 წლის იუბილეს მომსწრენი გავხდით. სტუმარი და მრევლი უხვად ჰყავდა საეკლესიო კომპლექსს. აქ დაბრძანებულ უნიკალურ სიწმინდეებს კიდევ დაემატა ახალი სიწმინდეები, ხატები, განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო უწმინდესისა და უნეტარესის, საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის ილია მეორის საჩუქარი– ღვთისმშობლის ხატი, რომელიც სპეციალურად ამ იუბილისთვის შეიქმნა.

ზეიმს სტუმრობდნენ სერბეთიდან, რუსეთიდან, უკრაინიდან, საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან. უდიდესი მადლობა მინდა გადავუხადო იმ ლამაზი, ღვთის მადლით სავსე დღისთვის ბატონ გოდერძი ბუკიას, რომელიც გახლავთ ამ სამონასტრო კომპლექსის ქტიტორი, უდიდესი ქველმოქმედი თუ ღვთისმოყვარე ადამიანი, სწორედ მისი ინიციატივით მოხდა საეკლესიო კომპლექსის ეზოსა და შემოგარენის გალამაზება და იუბილეს აღნიშვნა.

ბატონო გოდერძ, იხარეთ და გფარავდეთ ღმერთი ყველა საქმეში.

დაე, ღვთისმშობლის მადლი ფარავდეს ჩვენს სოფელს, ხობსა და სრულიად საქართველოს. მუდამ სიმშვიდე, სიხარული, ბედნიერება სუფევდეს სრულიად საქართველოში.

თქვენ და ყველა ხობელს ღმერთმა წარმატებები დაგაბედოთ.

***ესაუბრა***
***ნანი კილასონია.***

## ვულოცავთ!

***გამორჩეული სასკოლო ცხოვრება სუფევს ხობის №2 საჯარო სკოლაში. სკოლა ყოველწლიურად აცილებს მედალოსნებს, ამაყობს ეროვნულ ოლიმპიადებსა და სხვადასხვა კონკურსებში მონაწილეობითა და წარმატებებით, ასევე „წიგნის თაროს“ ნახევარფინალისტებით. ამ და სხვა წარმატებების მიზეზია ის, რომ სკოლის დირექტორი, ქალბატონი ნანა ქვარაია, თითოეული პედაგოგი, მოსწავლეები ყოველთვის ორიენტირებულნი არიან წარმატებების მისაღწევად.***

***უნდა ითქვას, რომ ამჟამინდელმა გამარჯვებამ მოლოდინს გადააჭარბა. ხობის №2 საჯარო სკოლის მოსწავლეთა გუნდი პროექტის–„საქართველოს პირველი რესპუბლიკა“ გამარჯვებული გახდა.***

***თუ რა მიზანი ჰქონდა ამ პროექტს, როგორ ჩაებნენ მასში და მიღწეულ შედეგებზე საუბარი ვთხოვეთ სკოლის დირექტორის მოადგილეს, ისტორიის წარმატებულ და მიზანდასახულ მასწავლებელს, პროექტის ხელმძღვანელს ქალბატონ მედეა ვარდიას.***

# ღირსეული გამარჯვება

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნული არქივის საგანმანათლებლო პროექტის–„საქართველოს პირველი რესპუბლიკა“ გამარჯვებული გახდა ხობის №2 საჯარო სკოლის მოსწავლეთა გუნდი. პრიზიორები საქართველოს იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა და საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელთა შთამომავლებმა–მიშელ რამიშვილმა და ტიერი ბერიშვილმა დაასაჩუქრეს.

–თავიდან, როდესაც პროექტის შესახებ გავიგე, ჩავთვალე, რომ მასში მონაწილეობა აუცილებელი და დროული იყო.–გვითხრა ქალბატონმა მედეამ, მოსწავლეებს ეძლეოდათ შესაძლებლობა საქართველოს ერთ- ერთი მნიშვნელოვანი პერიოდის, დამოუკიდებლობის–1918-1921 წლების ისტორიის ძირფესვიანად გაცნობისა.



ეროვნულმა არქივმა გამოგვიგზავნა 1918–21 წლების საქართველოს ისტორიის ამსახველი პუბლიკაციები. მათ შორის, ეროვნული არქივის გამოცემები, ელექტრონული ვერსიები, რომელთა მიხედვითაც მომზადდა ფინალური თამაშის კითხვები.

თამაში „რა? სად? როდის?“ სტილში ჩატარდა.

გამოგზავნილ მასალას რომ გავეცანი, იმდენად ვრცელი იყო, მართალი გითხრათ, შემეშინდა, შევძლებდით თუ არა მის დამუშავებას.

გუნდში ჩავრთე მეთორმეტე და მეათე კლასის მოსწავლეები. მეთორმეტე კლასელები–ცოტნე (ნოდარი) ქირია, ბაკური ბუკია, ნათია ალანია.

ცოტნე და ბაკური შარშანდელი „წიგნების თაროს“ ნახევარფინალისტები არიან, კონკურსებში მონაწილეობის დიდი გამოცდილება აქვთ და თითქმის ყოველ წელიწადს ეროვნული ოლიმპიადის ფინალისტები არიან.

ცოტნეს სამოქალაქო განათლების და ესეების რამდენიმე კონკურსი აქვს მოგებული, კითხულობს ბევრს, რაც არის მისი უამრავი წარმატების საფუძველი.

ნათია წარჩინებული მოსწავლეა, მას აქვს ვრცელი მასალის ათვისების, დახარისხების, შენახვის საუკეთესო უნარი, რითაც დიდი წვლილი შეიტანა გუნდის გამარჯვებაში. გუნდში ჩავრთე მეათეკლასელები–ირაკლი შონია, ლუნა ჭაჭია, ინგა სიორდია. მართალია, მათ პროგრამულად არ ჰქონდათ ეს მასალა ჯერ გავლილი, მაგრამ ძალიან აქტიურად და მოტივირებულად ჩაერთვნენ გუნდის მუშაობაში და შესანიშნავ შედეგს მიაღწიეს. გარდა იმისა, რომ გუნდის თითოეული წევრი მუშაობდა მთლიან მასალაზე, პასუხისმგებელი იყო გარკვეულ სფეროზეც. ცოტნე, როგორც კაპიტანი, ორგანიზებას უკეთებდა მთლიან მასალას.

ბავშვებმა უზარმაზარი შრომა გასწიეს, არ დაუტოვებიათ არც ერთი სფერო ყურადღების მიღმა. ინდივიდუალურად მუშაობდნენ, შემდეგ ერთად ვაჯერებდით და განვიხილავდით საკითხებს. ეს იყო გუნდურობის შესანიშნავი მაგალითი, სადაც გუნდის თითოეულმა წევრმა პასუხისმგებლობა აიღო და თავისი წვლილი შეიტანა საბოლოო გამარჯვებაში.

მიმაჩნია, რომ გამარჯვება, რომელიც ჩვენ მოვიპოვეთ, შედეგია, აგრეთვე, იმ პროცესისა, რაზედაც ორიენტირებულია სკოლის პედაგოგიური კოლექტივი, სკოლის დირექტორის ქალბატონ ნანა ქვარაიას მეთაურობით. რადგან ის უნარები, რომლებიც ამ მოსწავლეებს აქვთ, ერთ და ორ თვეში არ ყალიბდება, ის ხანგრძლივი პროცესია და ამის ლოგიკური შედეგია ის მიღწევები, რომელიც სკოლას გააჩნია- რესპუბლიკურ კონკურსებში გამარჯვება, მედალოსნების და ეროვნულ ოლიმპიადაში ფინალისტების რაოდენობა, სასკოლო და რაიონულ ღონისძიებებში მონაწილეობა.

უნდა ითქვას, რომ, კონკურენცია ძალიან დიდი იყო (70 ფინალისტი სკოლა, თან თბილისის სკოლები, რომლებიც 2015 წლიდან მონაწილეობდნენ ამ კონკურსში). რესპუბლიკური მასშტაბით კონკურსი წელს პირველად ჩატარდა. თავიდან კონკურსში დარეგისტრირებული იყო 374 სკოლა.

ღონისძიებას თან ახლდა ემოცია, შიში, მაგრამ პირველობისთვის ბრძოლის ჟინმა ყველაფერი დააძლევინა მოსწავლეებს. კულმინაცია იყო რესპუბლიკის ჩემპიონებად დასახელება და ლეპტოპებით დაჯილდოება. კონკურსი საუკეთესო ღონისძიება იყო მოსწავლეებში მოტივაციის გაზრდის მიმართულებით.

მეტი სტიმულის მომცემი გახდა ჩვენთვის, აგრეთვე, ბატონ გოდერძი ბუკიას საჩუქარი–სამდღიანი ტური „წყალტუბო პლაზაში“, სკოლის დირექტორის, მასწავლებლისა და მოსწავლეებისთვის. ეს არის ნათელი მაგალითი, თუ როგორ უნდა წაახალისო ჭკვიანი ბავშვები, რამეთუ ისეთი ქვეყნის, როგორიც საქართველოა, გადარჩენის ერთადერთი გზა განათლებაა, ეს კოდი ჩადო ღმერთმა ქართველებში და მისი უგულებელყოფა დაღუპვის ტოლფასია.

# ყვავილების მეჯლისი!..

იმ დღეს ქალაქის ცენტრში–ჭადრების ხეივანში უჩვეულო ხალხმრავლობა სუფევდა. ვის არ ნახავდით აქ... ხობის მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო რესურსცენტრში შემავალი საჯარო სკოლებისა და კერძო სკოლა „არეას“ მოსწავლეებს თუ მასწავლებლებს, მშობლებს, მუნიციპალიტეტის მერს, მის მოადგილეებსა და საკრებულოს თავმჯდომარეს, საკრებულოს სხვადასხვა კომისიების თავმჯდომარეებს, სამსახურების უფროსებსა თუ საზოგადოების წარმომადგენლებს. იმათ, ვისაც აინტერესებს სიახლეები, მონაწილეთა აქტიურობა და სილამაზის შეგრძნება უხვად აქვთ მოჭარბებული.



მართლაც ლამაზი სანახაობა სუფევდა. ხობის საგანმანათლებლო რესურცენტრის (უფროსი ბეატრისა რუსია) ინიციატივითა და მხარდაჭერით წარმოდგენილ ღონისძიებაზე. ტრადიციადქცეული ყვავილების მეჯლისი მართლაც ულამაზესად გამოიყურებოდა. ლამაზები და მხიარულები გახლდნენ მონაწილეები. მოჭარბებული იყო ნარინჯისფერი. ყვავილების შესაფერისად იყო ბუშტების სიმრავლე და მათი ფერთა გამა.

წამყვანები სცენაზე იწვევდნენ გამომსვლელ სკოლებს. ყველანი სხვადასხვა ყვავილებს წარმოადგენდნენ. ყველაზე მეტად ფიგურირებდა ია, ვარდი, ნარცისი, ლილია, გვირილა...

გვიყვარდეს ერთმანეთი, გვიყვარდეს ბუნება, გვიყარდეს სამყარო, მოისმოდა მათი ხმები... ყვავილების პაექრობაზე სილამაზესა და მუსიკის ჰანგები შეხმატკბილებულად ერწყმოდნენ ერთმანეთს.

ყველა სკოლა და მათი გამომსვლელები აქტიურობდნენ. ამ სილამაზეში ვერ გამოარჩევდი ვინ ვის სჯობდა. ყველა სკოლას თავისი შემფასებელი ყავდა. ცეკვავდნენ, ისმოდა სიმღერები... ბედნიერები იყვნენ პატარები, ყველა გამომსვლელი მართლაცდა ლამაზი და მომხიბვლელი იყო. ღონისძიება კი მოსაწონი და საინტერესო.

მართალია ღონისძიება უფრო ადრე, გაზაფხულზე უნდა გამართულიყო, მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია მის ელფერზე. აქ უხვად იყო წარმოდგენილი ყვავილები. ყველგან ზაფხულის მცხუნვარე მზე ანათებდა და ხეივანს მეტ ელვარებას მატებდა.

ყვავილების სუნთქვას მომავალი თაობის წარმომადგენელთა სუნთქვა და სიხალისე ავსებდა.

კარგია ასეთი ღონისძიებების სიმრავლე, ის სტიმულის მომცემია და სკოლის მოსწავლეთა მეტი ენთუზიაზმისა და მომავლის რწმენის საფუძველი.

მომავალ შეხვედრამდე ზეიმის მონაწილე მოსწავლეებო, მუდამ გქონებოდეთ წარმატებების სიმრავლე აწ და მარადის!

# ზაფხულის ჰანგები

ცხელა, ბუღი ასდის ქალაქს... დღე, რომელსაც დიდი ხანია ბავშვები ელოდნენ...დღე გასაყარი სასწავლო პროცესსა და დასვენებას, თავისუფლებას შორის, დრო, როცა ასპარეზი მიეცა თამაშს, გართობას, როცა ლაღად შეგიძლია ინავარდო, როცა არავინ შეგახსენებს „წიგნი აიღე ხელშიო“.

მიუხედავად გაუსაძლისი სიცხისა, მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრში ბავშვების ჟრიამული არ წყდება... ზოგი ღელავს სცენაზე გასვლის წინ, ზოგი უზრუნველად ასკინკილობს... სასიმოვნო მუსიკა ჟღერს, სცენაზე თავს ულამაზესი იკებანა იწონებს. სიმბოლურია, რომ დღევანდელი კონცერტი სწორედ არდადეგების დასაწყისს დაემთხვა.



...დამსწრე საზოგადოებას ესალმება და საზეიმო განწყობილებას ქმნის ღონისძიების წამყვანი მარი თოდუა... სცენას იპყრობენ და ულამაზესი სანახაობით მაყურებელს თავს აწონებენ ხობის №1 და №2 საბავშვო ბაღის „სასკოლო მზაობის“ ჯგუფის თვალხატულა გოგო-ბიჭები, რომლებიც მალე დატოვებენ საბავშვო ბაღის კედლებს. მათ ცოდნის ტაძარი- სკოლა ელოდებათ.

ცეკვა „რაჭულს“ ასრულებს ქორეოგრაფიული ანსამბლი „კოლხეთი“ (ქორეოგრაფი კობა გერგაია), სიმღერით „ყვავილების თოვა“ არტისტისტიზმით თავს იწონებს მარი შონია, ხოლო უნაზესი და უფაქიზესი შესრულებით გამოირჩევა ლიზი ნარსია სიმღერით „ჰალილუია“, „ოდესმე დიდი ყოფილა საქართველო“–საოცარი განცდებითა და ოსტატობით კითხულობს ბავშვთა თეატრის მსახიობი მარი ჯიქია. სასიამოვნო სანახავია ხეთის საჯარო სკოლასთან არსებული ქორეოგრაფიულ ანსამბლ „აია-კოლხას“ მაღალპროფესიულ დონეზე შესრულებული „ზეკარი“ (ქორეოგრაფი გოდერძი გახარია), „მონატრება“ მღერის მშვენიერი მარი კონჯარია, ჩვეული ლირიზმი გასდევს ბაია ალანიას მიერ დედაზე შესრულებულ სიმღერას. ლაღად გრძნობენ თავს სცენაზე გოგონათა ვოკალური ჯგუფის წევრები სიმღერით „ჰავანა“ (ხელმძღვანელი მილენა სიორდია), ჩვეული ვირტუოზულობით მღერიან ბარბარე ლოლუა და ლიზი ცანავა, მათ დახვეწილი სასცენო მანერები ახასიათებთ, რაც მაყურებლის კეთილგანწყობას იმსახურებს. კონცერტი ცეცხლოვანი „შეჯიბრით“ (ქორეოგრაფი კობა გერგაია) დასრულდა...

მხიარული შეხვედრები გრძელდება. წინ ცხელი, მაგრამ საინტერესო დღეები გველის... დაისვენეთ, გაერთეთ და იმხიარულეთ!.. ასე დაემშვიდობა აუდიტორიას კულტურის ცენტრის მიერ ორგანიზებული კონცერტის წამყვანი მარი თოდუა.

...ზაფხულის ჰანგებით გაჯერებული დღეები კვლავ გველოდება.

გვერდი მოამზადა ნანი კილასონიამ.

# ზარი ახალი ცხოვრების დაწყებისა...

რა სწრაფად გაირბინა დრომ. მართლაც რომ სიზმარივით ჩაიარა სიყრმის ხანამ. რა შეედრება იმას, რომ დილით ჩვეულებრისამებრ გამოიღვიძებ და აღმოაჩენ, რომ ქარივით თავისუფალი ხარ, დამთავრდა სკოლის წლები... უკვე ზრდასრული ადამიანი ხარ.



ყმაწვილკაცობის 12 წელი წარსულს ჩაბარდა. გუშინ დაშვებულ შეცდომას დღეს ანცობად აღარ ჩაგითვლიან. სწორედ ამიტომაც სკოლის თითეულმა კურსდამთავრებულმა გონებით უნდა განსაზღვროს მომავალი ცხოვრების გზა, ცხადია, პროფესიულ გზაზე. არ მოგახსენებთ, არა, ის გზა სხვაა, უფრო რთული, ეკლიანი „კაიყმის“ სავალი გზა, რომ ჰქვია სახელად.

ჩვენ ყველანი ბავშვობიდან მოვდივართ. მთელი კვირის განმავლობაში თვალს ვადევნებდი ჩვენი მუნიციპალიტეტის თითოეულ საჯარო სკოლის მეთორმეტეკლასელთათვის ბოლო ზარს და ნოსტალგია მიპყრობდა...

ყველგან ისმოდა მუსიკის ჰანგები, იმართებოდა არაჩვეულებრივი შოუ-საღამოები. თანაკლასელები დიდი სიყვარულით იგონებდნენ სკოლაში გატარებულ წლებს. მონიტორზე ჩნდებოდა იმ წლების ამსახველი ვიდეოკადრები, რომლებსაც ვინ იცის, კიდევ რამდენჯერ გაადევნებენ ნატვრითა და ოცნებით სავსე თვალს, კრძალვით მოიგონებენ პირველ მასწავლებელს. დედაშვილური ალერსით რომ ეგებებოდა სკოლაში მოსულთ, მოწიწებით გადაუშლიდა „დედა ენას“, ლამაზი ასოებით დაფაზე ამოუქარგავდა „აი ია“-ს და თითოეულ მათგანს სამშობლოს სიყვარულს აზიარებდა.



დარწმუნებული ვარ, თითოეული მოსწავლის გულში დიდხანს იკიაფებს მასწავლებლების, აგრეთვე სკოლის დირექტორისა და მთელი კოლექტივის კეთილი მზერა და სათნო სახე. რადგან მასწავლებელმა მაღალპროფესიულ დონეზე მკაფიოდ ჩააქსოვა ის, რომ ცხოვრება იმაზე მეტ დაფიქრებას მოითხოვს დღევანდელი ახალგაზრდებისგან ვიდრე მათ ასაკს შეეფერება, რომ დღევანდელმა თაობამ წინა თაობებთან ერთად, მაგრად უნდა ჩაკიდოს ხელი სიკეთეს, ჯანსაღ გრძნობას, რომ დაუმტკიცონ სამშობლოს თავისი სიძლიერე, ამისთვის კი ილიასნაირი ერისკაცები სჭირდება თაობას, იმისთანა ერისკაცის სიტყვა და საქმე სიცოცხლეს რომ გასწირავს ერისთვის და ამით უფლებას არ მისცემს, მის შთამომავლობას ცუდად იაროს...

...საზეიმო შოუ-საღამოს შემდეგ... დაფიქრებულები, სერიოზულები, „უკვე დიდები“ უჩვეულო სევდით ემშვიდობებოდნენ ერთმანეთს...

იქ, საკლასო ოთახში დარჩა... ცარიელი მერხები, წარწერებიანი მაისურები, პატარა სევდა და მთელი სამყარო...

ჩემი, შენი, ჩვენი საფიცარი და სანატრელი ბავშვობა.

# თანამერხელთა შეხვედრა...

50 წლის შემდეგ... მოსაგონებელი და სალაპარაკო მართლაც ბევრი ჰქონდათ თმაშევერცხლილ თანამერხელებს, ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველი ხორგის საშუალო სკოლის კურსდამთავრებულებს.



მზიურ შელია, მზია ბერაია, მურთაზ შელია, ემზარ გვარამია, მურმან ნოდია, მზია გაბელია, ნორა კალანდია, გულნარა დოლბაია, ჯული დოლბაია, მზია დოლბაია, ნატრული შონია, მზია ლაბაძე დახუნძლულები შვილებით, შვილიშვილებით.

საოცარი დღე იყო...

სიყრმის მეგობრები ერთად შეიკრიბნენ, ზოგი დამკვიდრებულ მამა-პაპისეულ მიწაზე დახვდა, ზოგი მონატრებულ მშობლიურ სოფელში მოვიდა სხვადასხვა კუთხიდან და ერთმანეთს ჩახუტებულები დიდხანს, ძალიან დიდხანს იყვნენ.



ქვეყნად მეგობრობაზე უკეთესი არაფერია, მითუმეტეს ბავშვობის მეგობრებზე. იყო სიცილი, სიხარული, ცრემლები, მოგონებები, წუთიერი დუმილი... მასწავლებლები, თანაკლასელები.

ულამაზესი ქალბატონი და უბრწყინვალესი მასწავლებელი ლარისა ბოხუა, გულისფანცქალით ელოდა ყოფილ მოსწავლეებთან შეხვედრას. ალბათ, ამაზე უბედნიერესი დღე მასწავლებლისთვის არაფერია.

„მე თქვენ დღეს უფრო მიყვარხართ“–უთხრა მან ყოფილ მოსწავლეებს.

სამწუხაროდ, მასწავლებელმა ნელი უბილავამ, რომელიც იყო სიკეთის, სიმშვენიერისა და ერთგულების განსახიერება, ავადმყოფობის გამო ვერ მოახერხა მათთან შეხვედრა.

ლარისა მასწავლებლის თვალზე სიხარულის ცრემლი კიაფობდა (მეც ავტირდი, რადგან ესენი ჩემი მასწავლებლებიც იყვნენ და არიან დღესაც) დიდხანს სიცოცხლე თქვენ, ძვირფასო მასწავლებლებო.

თქვენ კი ერთმანეთის მეგობრებო, თანამერხელებო, თანასოფლელებო ძალიან მიყვარხართ, იცოცხლეთ, იხარეთ კიდევ 50 წელი.

***ნაირა ბერაია.***

## გვწერენ

# გაზეთ „ხობის მოამბეს“ რედაქციას!

უმორჩილესად გთხოვთ, მომცეთ საშუალება თქვენი გაზეთის ფურცლებიდან გამოვხატო უდიდესი პატივისცემა და სიყვარული ხობში მოღვაწე თეთრხალათიანი მედიკოსების მიმართ, რომლებიც წლების განმავლობაში უანგაროდ და თავდაუზოგავად ასრულებენ თავიანთ საპატიო მისიას, ხობში და მის შემოგარენში მცხოვრები მოსახლეობის ჯანმრთელობის საკეთილდღეოდ.

რომ არა, პროფესიონალი ექიმები–ქალბატონი კლარა ქირია, თამარ მხეიძე, ნათელა ჯიჯელავა, ბელა გვილია, რენტგენოლოგი კოტე ნასარაია, ჩემი ოჯახის წევრების სიცოცხლეს უსაშველო საფრთხე ემუქრებოდა.

მადლობა მათ წლების განმავლობაში ჩვენს ჯანმრთელობაზე ზრუნვისთვის.

სამადლობელი სიტყვები არ გვყოფნის ხობში დევნილების სამედიცინო მომსახურების პოლიკლინიკის თანამშრომლებზე მადლიერების გამოსახატავად.

დევნილთა პოლიკლინიკა ჩვენი მეორე სახლია, სადაც ორ ათეულ წელზე მეტია გვხვდებიან უშურველი სიყვარულით, აურაცხელი სითბოს გამომხატველი სიტყვებით. სწორედ მათზეა ზედგამოჭრილი „ენით მკურნალი“ არიანო. მათთან მიმეშურება ჩემი თუ, ოჯახის წევრების ტკივილის დასაამებლად.

მადლობა ჩემი ერთადერთი შვილის, გიორგის მკურნალ ექიმს, ქალბატონ სვეტლანა გვათუას იმ დედობრივი სიყვარულის გამოვლენისთვის, გიორგის გამოჯანმრთელებისთვის, ხვალინდელი დღის კარგი მომავლის რწმენის ჩანერგვისთვის.

მუხლდაჩოქილი ვეამბორები ჩემს უსაყვარლეს ექიმს, ქალბატონ ია გელოვანს, ვინც სიცოცხლე შემინარჩუნა, ილაჯგაწყვეტილი, სევდადქცეული, სიცოცხლეზე ხელჩაქნეულ ერთ, უბრალო დევნილ კაცს, რომ არა შვილის სიყვარული და ია ექიმის თანადგომა, ვერ ვიცოცხლებდი.

მადლიერება მინდა გამოვხატო ოჯახის მკურნალი ექიმის, ქალბატონ მარიკა ლატარიას მიმართ. ამ უბადლო პიროვნების ნიჭიერება, პროფესიონალიზმი, სამედიცინო დარგების განსწავლულობა განაპირობებს მასთან მისული სენშეპყრობილი პაციენტების სწორ დიაგნოსტიკას და წარმატებულ მკურნალობას.

მადლობა ხობის დევნილთა პოლიკლინიკის ყველა თანამშრომელს, თითოეულ თეთრხალათიანს, ვისაც გულთან მიაქვს ავადმყოფების გასაჭირი და საიმედო დახმარების ხელს გვიწვდიან უიმედობაში ჩავარდნილებს.

მადლობა თითოეულ მკურნალს ჩვენზე გაწეული ამაგისთვის, ჩვენს ჯანმრთელობაზე ზრუნვისთვის, სიცოცხლის შენარჩუნებისთვის.

უფალს შევთხოვთ თქვენს დღეგრძელობას, ხალხის საკეთილდღეოდ ულევ წარმატებებს პროფესიულ შემოქმედებაში, პირად ცხოვრებაში.

***გენადი ვართანოვი,***
***აფხაზეთიდან დევნილი.***

# ზოგჯერ სიტყვაც მკურნალია

ამა თუ იმ ფორმით, შინაარსით, ტონალობით ნათქვამ სიტყვაზე, მის მნიშვნელობაზე ბევრი რამ ითქმის. სიტყვა–მწარე, ტკბილი, ზოგჯერ მტკივნეულიც, რომელსაც გულიდან იოლად ვერ ამოშლი.

სიტყვა–მკურნალი კი მეტად საჭირო, სასიცოცხლო და იმედის მომცემია.

მკურნალი ექიმი მარიკა ლატარია, სამედიცინო დარგის ერთ-ერთი ის მუშაკია, რომელიც კვირაში ერთ სამუშაო დღეს სოფელ ზემო ქვალონის პაციენტებს ემსახურება.

მან მოკლე დროში დაიმსახურა მოსახლეობის ნდობა, სიყვარული და პატივისცემა. სრული პასუხისმგებლობით და მონდომებით ეკიდება თავის საქმეს. ჰიპოკრატეს ფიცის ერთგული დამცველია. პაციენტებს, რომლებიც მის მოლოდინში არიან, მკურნალობს და აძლევს რჩევა-დარიგებას, ხალხი მადლიერებას გამოხატავს ხობის მუნიციპალიტეტის მერის მისამართით სოფელში ასეთი პროფესიონალი ექიმის დასაქმებისთვის.

იგი როგორც ყველა, ისე ჩვენი ოჯახის სტუმარია. ჩემი ავადმყოფი მეუღლე იმედით ელოდება, კმაყოფილია მასთან შეხვედრით, რადგან ავადმყოფს წამალთან ერთად გამხნევება, მოფერება და იმედი სჭირდება, რასაც ავადმყოფი ელის ექიმისგან, მითუმეტეს ხანდაზმულები, რომლებიც გამოჯანმრთელებისა და სიცოცხლის გახანგრძლივების მოლოდინში არიან. იგივე ითქმის ექიმ-კარდიოლოგ ირინა ბერაიას მიმართ, ავადმყოფზე სასწრაფოდ გაწეული დახმარებისა და მკურნალობისთვის.

ვიმოწმებ პაციენტების სიტყვებს, მკურნალ ექიმზე თქმულს: „აგაშენოთ ღმერთმა“.

აღნიშვნის ღირსია ექთნის სოფიკო პაჭკორიას დაუზარელი, კეთილსინდისიერი მუშაობა. მას ექიმები და სოფელიც ემადლიერება, რადგან გულდასმით ასრულებს მასზედ მინდობილ საქმეს.

პაციენტების სახელით გლოცავთ სამედიცინო დარგის მუშაკებო, არ მოკლებოდეთ მადლიერი პაციენტები, თქვენი დახმარება, თბილი სიტყვა და იმედი გამოჯანმრთელებისა.

მართლაც „აგაშენოთ ღმერთმა“.

***გულიანა ბუკია,***
***პენსიონერი, სოფელი ზემო ქვალონი.***

სამადლობელი

გულის შეტევებისა და მაღალი არტერიული წნევის გამო ხშირად მიწევდა ხობის სამედიცინო დაწესებულების ექიმებთან ვიზიტი.

ბოლოს დახმარებისთვის მივმართე ექიმ კარდიოლოგ ლეილა ბუკიას. მან გულდასმით მოისმინა ჩემი ჩივილები და სათანადო მკურნალობა დამინიშნა. ჩემი ჯანმრთელბის მდგომარეობა გაუმჯობესდა, თავს უკეთ ვგრძნობ.

გულისხმიერებისა და მაღალი პროფესიონალიზმისთვის ვემადლიერებით ქალბატონ ლეილა ბუკიას, ვუსურვებთ დიდი ხნის სიცოცხლეს, მადლიერ პაციენტთა სიმრავლეს.

**დედა-შვილი ლუარა და ნანა კვირკველიები.**
**სოფელი ქვემო ქვალონი.**

# სპორტი

## მინიფეხბურთი



შუა ხორგაში გაიმართა 2008 წლის აგვისტოს ომის დროს ტრაგიკულად დაღუპული ჯარისკაცის ზვიად დათუაშვილის სახელობის თასის გათამაშება მინიფეხბურთში. შეჯიბრებაში 6 გუნდი იღებდა მონაწილეობას, რომლებიც დაყოფილნი იყვნენ ორ ჯგუფად: A ჯგუფში ასპარეზობდნენ ჭალადიდის, ქარიატისა და შუა ხორგის გუნდები, ხოლო B ჯგუფში გამოდიოდნენ ახალი სოფლის, ყულევისა და საგვიჩიოს ფეხბურთელთა გუნდები.



დაძაბული ბრძოლების შემდეგ გამოვლინდნენ ნახევარფინალისტები, რომლებიც ასე დაწყვილდნენ შუა ხორგა–საგვიჩიო, ახალი სოფელი–ჭალადიდი. შუა ხორგელებმა ადვილად დაამარცხეს საგვიჩიოელები და ფინალში გავიდნენ. ასევე ახალი სოფლის ფეხბურთელებმა იოლად სძლიეს ჭალადიდელებს და ისინიც გავიდნენ ფინალში.

ტურნირის დასკვნით დღეს გაიმართა ფინალური მატჩი შუა ხორგისა და ახალი სოფლის გუნდებს შორის. მატჩის ძირითადი დრო ფრედ დამთავრდა. პენალტების სერიაში კი შუა ხორგელებმა გაიმარჯვეს და მოიპოვეს ზვიად დათუაშვილის სახელობის თასი. მათ გადაეცათ ასევე პირველი ადგილისთვის განკუთვნილი სიგელები.

მეორე ადგილისთვის განკუთვნილი თასით და სიგელით დაჯილდოვდნენ ახალი სოფლის ფეხბურთელები. ხოლო მესამე ადგილისთვის განკუთვნილი თასი და სიგელი გადაეცათ საგვიჩიოელებს.

ტურნირზე დაწესებული იყო პრიზები საუკეთესო მოთამაშეებისთვის სხვადასხვა ნომინაციაში.

საუკეთესო მეკარე გახდა–ბუბა მურღულია (შუა ხორგა); საუკეთესო მცველი–ალექსანდრე ბერაია (შუა ხორგა); საუკეთეო ნახევარმცველი–დავით გიორგაძე (საგვიჩიო); საუკეთესო თავდამსხმელი–დიმიტრი ბერაია (შუა ხორგა); საუკეთესო ბომბარდირი–ნიკა ვეკუა (ახალი სოფელი); ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელად ლევან ჩაჩიბაია (ახალი სოფელი) დასახელდა.

დაჯილდოების ცერემონიალს უძღვებოდნენ მუნიციპალიტეტის მერი ბატონი გოჩა ქაჯაია, საფეხბურთოო კლუბ „კოლხეთის" დირექტორი ბატონი კობა კობახიძე, მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლები ახალსოფელში იმედა ცარციძე, საგვიჩიოში ვახტანგ გოგოლაძე, შუა ხორგაში ვალერიან ქაცარავა. საგვიჩიოს მკვიდრი ვეტერანი სპორტსმენი, თბილისის მერიის თანამშრომელი ბატონი კობა კილაძე.

დაჯილდოების დროს დამსწრე საზოგადოებამ და ტურნირის მონაწილეებმა წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს ზვიად დათუაშვილის ხსოვნას. მუნიციპალიტეტის მერმა ბატონმა გოჩა ქაჯაიამ სიტყვით მიმართა დამსწრე საზოგადოებას. მან ზვიად დათუაშვილის ხსოვნას პატივი მიაგო, ხოლო ტურნირის მონაწილეებს წარმატებები უსურვა.

## ნოდარ შენგელიას სახელობის ტურნირი განახლდა

ამ დღეებში სტარტი აიღო ნოდარ შენგელიას ხსოვნისადმი მიძღვნილმა ტურნირმა მინიფეხბურთში. შეჯიბრებაში 2007-2008 წლებში დაბადებულთა 8 გუნდი იღებდა მონაწილეობას, რომლებიც ოლიმპიური სისტემით ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. წაგებულები ეთიშებოდნენ გათამაშებას.

ტურნირში მონაწილეობდნენ ზუგდიდის „ბაიას", ფოთის „კოლხეთის", მარტვილში თბილისის „დინამოს" აკადემიისა და ხობის „კოლხეთის" ჭაბუკ ფეხბურთელთა გუნდები პირველ-მეორე შემადგენლობით. ტურნირი მეტად საინტერესოდ წარიმართა, გამოვლინდნენ პრიზიორები და ნოდარ შენგელიას სახელობის თასის მფლობელნი, მესამე ადგილისთვის მატჩში მარტვილის „დინამოს" აკადემიის ფეხბურთელებმა დაძაბულ ბრძოლაში დაამარცხეს ხობელები და დაეუფლნენ მესამე ადგილს. მათ გადაეცათ მესამე ადგილისთვის განკუთვნილი თასი და სიგელი. ფინალური მატჩი ფოთელებსა და ზუგდიდელებს შორის დაძაბულად წარიმართა,




თუმცა, შემდეგ ფოთელთა უპირატესობა გამოიკვეთა. დიდი ანგარიშით 5:1 დაამარცხეს მეტოქე და დამსახურებულად დაიკავეს პირველი ადგილი. მათ გადაეცათ ნოდარ შენგელიას სახელობის გარდამავალი თასი და სიგელები, მეორე ადგილი დაიკავეს და თასითა და სიგელებით დაჯილდოვდნენ ზუგდიდის „ბაიას" ჭაბუკები. ასევე დაჯილდოვდნენ ტურნირის საუკეთესო მოთამაშეები სხვადასხვა ნომინაციაში:

საუკეთესო მეკარე–ნიკოლოზ ქვარაია (ფოთი);

საუკეთესო მცველი–ლუკა ლაშხია (მარტვილი);

საუკეთესო ნახევარმცველი–გიორგი გახარია (ზუგდიდი);

საუკეთესო თავდამსხმელი–დიტო ოყუჯავა (ზუგდიდი)

საუკეთესო ბომბარდირი–მიხეილ გვილია (მარტვილი);

ტურნირის პირველი გოლის ავტორი გახდა დავით ანდღულაძე (ფოთი).

მაყურებელთა სიმპათიის პრიზი გადაეცა გიორგი წურწუმიას (ხობი)–დაჯილდოებისას წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს ნოდარ შენგელიას ხსოვნას.

დაჯილდოებას უძღვებოდნენ მუნიციპალიტეტის მერი ბატონი გოჩა ქაჯაია, მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე ბატონი მახარე ჩოკორაია, ნოდარ შენგელას ძმა–გივი შენგელია, შვილი და შვილიშვილები ნიკა და ნოდარ შენგელიები. ოლიმპიური თამაშების პრიზიორი მსოფლიოს და ევროპის პრიზიორი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში მანუჩარ ცხადაია, ვეტერანი ფეხბურთელები ედიკ საჯაია და ზურაბ ლატარია. ზუგდიდის „ბაიას" ჭაბუკების მწვრთნელი ბორის გუჯეჯიანი, მარტვილის საფეხბურთო სკოლის დირექტორის მოადგილე ბატონი ჯამბულ მორგოშია, ფოთის საფეხბურთო სკოლის მენეჯერი ბატონი კახა ეფრემიძე, ხობის „კოლხეთის" კაპიტანი გიორგი გოგენია.



დაჯილდოების შემდეგ ნოდარის ძმამ ბატონმა გივი შენგელიამ მადლობა გადაუხადა ტურნირის ორგანიზატორებს, მონაწილეებს, სტუმრებს... შემდეგ კი ყვავილებით შეამკეს ნოდარის საფლავი.

P.S. 1992 წლის ზაფხულის ერთ საღამოს რესტორან „მედეაში" გადაწყდა, რომ ჩატარებულიყო ტრაგიკულად დაღუპული ნოდარ შენგელიას სახელობის ტურნირი. იდეის ავტორები გივი შენგელია, ზურაბ ლოლუა, ფრიდონ გოცირიძე, ლევან ნოდია და ლევან ლემონჯავა იყვნენ. ისინი შეთანხმდნენ, რომ ტურნირს ორგანიზებას გაუწევდნენ სპორტის სპეციალისტები, ხოლო ტურნირს დააფინანსებდა ბატონი გივი.

პირველი ტურნირი 1992 წლის 18-23 ივნისს ჩატარდა და ყველა ღონისძიება, რომელიც თითქმის 20 წელიწადი ტარდებოდა ამ რიცხვებში იმართებოდა, პირველ ტურნირზე მხოლოდ ხობის ოლიმპიური რეზერვების სასწავლებლის ნორჩი ფეხბურთელები ასპარეზობდნენ. შემდეგ კი ყველა ტურნირს ამშვენებდნენ ფოთის „კოლხეთის", ზუგდიდის „ბაიას", სენაკის „ეგრისის", მარტვილის საფეხბურთო სკოლის ჭაბუკები. ამ ტურნირზე უთამაშნია ერთადერთ გოგოს მაკო ლემონჯავას, რომელიც მაშინ სპეციალური პრიზითაც კი დააჯილდოეს. შემდეგ კი მოხდა რამდენიმეწლიანი პაუზა, თუმცა, წელს ნოდარ შენგელიას სახელობის ტურნირი განახლდა, რომელიც იმედია, ბატონ ნოდარის ვაჟების მხარდაჭერით მრავალგზის გაიმართება და ჭაბუკ ფეხბურთელთა აღზრდას და ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას შეუწყობს ხელს.

**მასალები მოგვაწოდა ლევან ლემონჯავამ**

# „სკოლისაკენ მივიჩქარით ჩვენ!..“

თუ გაოცება გსურთ, ხშირად ეწვიეთ მათ. მით უფრო, დღესასწაულებზე, სხვადასხვა ზეიმებზე, ისინი ყოველთვის უზომოდ სხარტები, მიმზიდველები და ემოციურები არიან. ათეული წელია ქებათა ქებას იმსახურებენ ყველასგან... ეს ქებათა ქება ამჯერადაც ხობის №2 საბავშვო ბაგა-ბაღის აღსაზრდელებსა და მის მესვეურთ ეკუთვნით.



მუსიკის საოცარი ჰანგები ავსებს ეზოსა და მის შემოგარენს. ყველგან სილამაზეა... „საოცარი მეგობრობა დავხატეთ!“ ბანერები გვამცნობდნენ, რომ ამ ანშლანგით წარიმართებოდა დღესასწაულის ეს დაუვიწყარი დღე.



აქ ყოველი ზეიმი ერთმანეთისგან თემატურად და დეკორაციულად განსხვავდება ერთმანეთისგან. ყველგან, ბაღის ყველა კუთხეში ფერთა საოცარი შეხამება სუფევს. ამ ზეიმზე სილამაზეს უფრო და უფრო დასამახსოვრებელს ხდიდა და ხალისს მატებდა მზაობის ჯგუფების–„ყოჩაღებისა“ და „ვარსკვლავების“ ის ბავშვები, რომლებიც სამომავლო გზას სკოლისკენ ამ ბაღიდან იკაფავენ.

პატარებმა ბაღთან დამშვიდობებისას საოცარი ნიჭიერება გამოავლინეს. ამ დღეს ბაღს 45 მზაობის ჯგუფელი ტოვებდა. ეს თითოეულის ცხოვრებაში დასამახსოვრებელ დღედ ჩაიწერება. ყველა ღელავს–აღმზრდელები, მშობლები... ისინიც, ვინც ჩართულნი იყვნენ მათ ყოველდღიურობაში.

მართალია, ყველანი მხიარულნი არიან მათი დაფრთიანებით, თუმცა განშორება ყოველთვის ძნელია. ეამაყებათ, მაგრამ სწუხან აღმზრდელები, სწუხან, რომ სექტემბერში ეს პატარები ბაღში კი არა, გეზს სკოლისკენ აიღებენ. ყველაზე მეტად გულდაწყვეტილები აღმზრდელი მასწავლებლები თამუნა ვეშაგური და ნანა ქაშიბაძე გახლავთ. ენანებათ მათთან განშორება, თუმცა დედაშვილურ დარიგებებს არც ახლა აკლებენ. გულის სითბოს საგზლად ატანენ თითოეულ მათგანს.

ყოველ წელს მისგან მიმავალ ბავშვებს ცრემლიანი თვალებით აცილებს ბაგა-ბაღის სულისჩამდგმელი, ყველა ბავშვის უფროსი მეგობარი, მოამაგე ქალბატონი, ინოვაციური წამოწყებებისა და ყველა პოზიტიური სიახლის მოთავე ნარგიზა ტულუში თავის კოლექტივში მოღვაწე ნიჭიერ, შრომისმოყვარე, პროფესიონალ ადამიანებთან ერთად.

უზადო იყო პატარების გამოსვლები. მღეროდნენ, ცეკვავდნენ, მნახველს აოცებდნენ მათ მიერ შესრულებული ნომრებით. სილამაზე უფრო ათკეცდებოდა, როცა მათ სხვადასხვა სამოსით დამშვენებულებს ხედავდნენ. ულამაზესი, მშვენიერები იყვნენ მონაწილენი. დღე კი საოცარი, მიმზიდველი...

6 წლიანთა ზეიმზე თავიანთი შემოქმედებით წარსდგნენ უმცროსი მეგობრებიც, რათა ეს დღე კიდევ უფრო გაელამაზებინათ მათთვის.

დასასრულს, პატარებს უთბილესი სიტყვებით მიმართა ქალბატონმა **ნარგიზა ტულუშმა** და კიდევ ერთხელ დამოძღვრა მათთან დაფრთიანებული პატარები. ბავშვებს მიესალმა და ღეიდან გასავლელ გზაზე წარმატებები უსურვა ქალბატონმა **დოდო გაბუნიამ** (ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე), **ნონა შამათავამ** (ა(ა)იპ) ხობის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საალმზრდელო გაერთიანების დირექტორის მოადგილე) სკოლამდელი აღზრდის გაერთიანების სახელით ეს მშვენიერი დღე მიულოცა ყველას და პატარებს ლამაზი და ბედნიერი დღეები უსურვა. მომავალი დაულოცა თავის შვილს და მის მეგობრებს **თამუნა სიჭინავამ** (ნუცა ბუკიას დედა), პედაგოგებს დაჰპირდა, რომ მეოთხე შვილს სექტემბერში სწორედ მათთან მიიყვანს... ამ დღისადმი მიძღვნილი საკუთარი ლექსი წაიკითხა ბაგა-ბაღის აღმზრდელმა მასწავლებელმა **ლალი ჭედიამ.**

ამაღელვებელი იყო ფინალი. მელოდიური მუსიკა, რომელიც მთელი ღონისძიების თანმდევი იყო, უფრო მეტად აჟღერდა. ბავშვების ჟრიამულმა იმძლავრა. გაისმა პატარების წკრიალა ხმებით შეძახილები „სკოლისაკენ მივიჩქარით, ჩვენ!“.

კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, რომ თუ გაოცება გსურთ, ხობის №2 საბავშვო ბაღის საზეიმო ღონისძიებებს უნდა დაესწროთ..

***ნანი კილასონია.***

# „გზა დაგვილოცოთ სკოლისაკენ, ამას ველოდებით ჩვენ!“

...წითელი ხალიჩის გასწვრივ თერთმეტი „კაშკაშა ვარსკვლავი“ და თერთმეტი ულამაზესი გოგო-ბიჭი „ანათებს“–*ანასტასია ცხადაია, გურამი ჩქოფორია, ბარბარე კაკაჩია, გიორგი ქაქუთია, ანასტასია გამეზარდაშვილი, ფრიდონი გოროზიანი, ლიკა შაკაია, მათე ლაგვილავა, ანასტასია გვასალია, ნიკოლოზ საღარაძე, ანდრია შულაია.*

პატარების გაბწყინებული მზერა მათ მიერვე ცაში აშვებულ საჰაერო ბუშტებს შორს ცის დასალიერამდე აჰყვა. ამ ლამაზ სანახაობას უფროსების უნებლიე, გულწრფელი სურვილები მოჰყვა–„უღრუბლო ზეცა ყოფილიყოს მუდამ თქვენთვის,“ „მაღალი მწვერვალების დაპყრობას გისურვებთ, პატარებო“, „წარმატებებს გისურვებთ აწგასავლელ გზაზე“... შემდეგ იყო გულისამაჩუყებელი დამშვიდობება, დიდხანს იყვნენ ჩახუტებულები აღსაზრდელები და აღმზრდელები...



ასეთი იყო ბოლო აკორდი ხობის მუნიციპალიტეტის ნოჯიხევის ადმინისტრაციული ერთეულის №2 საბავშვო ბაღის 2018 წლის გამოშვების ზეიმისა.



ღელავდა ყველა, აღმზრდელ-მასწავლებლები, მშობლები და განსაკუთრებით პატარები, რომელთაც დიდი მისია ეკისრებოდათ. მათ უნდა წარმოეჩინათ საკუთარი შესაძლებლობები, ესახელებინათ მასწავლებლები, რომლებმაც დიდი, ფუნდამენტური შრომა ჩადეს მათ აღზრდა-განვითარებაში, სწორი მიმართულება მისცეს მათ პირველი მყარი ნაბიჯების გადადგმაში.

ლამაზ ფერებში მორთულები ღელავდნენ, მაგრამ არ დაბნეულან და თავიანთი „ნომრები“ განსაკუთრებული მონდომებით და წარმატებით შეასრულეს, გულიდან ამოსული, მოსაფერებელი სიტყვები და ლექსები მიუძღვნეს თავიანთ აღმზრდელებს. „მასწავლებელი დედის გულივით მუდამ კეთილი, მუდამ ნეტარი“, „გზა დაგვილოცოთ სკოლისაკენ, ამას ველოდებით ჩვენ“...

„დიდობდნენ“ პატარები, ფაციფუცობდნენ... დიდი ოსტატობით შეასრულეს ცეკვა „ლენტებით“, „რეპი“, „დაისი“ და კიდევ ბევრი იცეკვეს, იმღერეს, იხალისეს.

ამ ლამაზ დღეს სტუმრებიც ბლომად ჰყავდათ, რომლებმაც დიდი სითბოთი სავსე სიტყვებით მიულოცეს აღსაზრდელებს ბაღის დამთავრება და სკოლისკენ დაულოცეს გზა...

პატარებს სკოლისკენ მიუხარიათ, მაგრამ ბაღი ძალიან, ძალიან მოენატრებათ, ერთმანეთს ასწრებდნენ საყვარელი მასწავლებლების ჩამოთვლაში, რომლებიც ძალიან უყვართ და მოენატრებათ,–თითქმის ყველამ ასეთი პასუხი გასცა ჩემს კითხვას, ზოგიერთმა საიდუმლოც გათქვა,–როცა გავიზრდები, ბაღის მასწავლებელი გავხდებიო.

როგორც მშობელმა მინდა მადლობა გადავუხადო ბაღის ყველა თანამშრომელს, მთავარ სპეციალისტს **მაია ცქირიას**, აღმზრდელ პედაგოგებს მზაობის ჯგუფში **მარინე მირცხულავას** და შერეულ ჯგუფში **ირინა პაჭკორიას,** მუსიკის მასწავლებელს **მაია გერგაიას**, აღმზრდელ **ეკა ყურაშვილს,** მზარეულ **მარიტე ქანთარიას** და მზარეულის თანაშემწე **ხათუნა კვირკვიას**, დამლაგებელ **სანათა ჭანტურიას** (მათთან ერთად ვემადლიერები ყოფილ მასწავლებლებს) ჩვენი შვილების აღზრდაში ჩადებული შრომისთვის, მათი ცელქობის ატანისა და გამძლეობისთვის... თითეულ მათგანს ვუსურვებ ჯანის სიმრთელეს, უსაზღვრო ბედნიერებას, წარმატებებს პირად და სამსახურებრივ საქმიანობაში. მადლიერი აღზრდილების რაოდენობა არ მოგკლებოდეთ. კიდევ მრავალი თაობა დაგეფრთიანებინოთ ამ ბაღის კედლებიდან ასაფრენად.

ჩემო პატარებო, თქვენ უკვე ცხოვრების პირველი ეტაპი გაიარეთ... წინ დიდი გზასავალი გელოდებათ, ყოველი თქვენი ნაბიჯი წარმატებული და სასიკეთოდ გადადგმული ყოფილიყოს... უფლის წყალობას, ლამაზ ბავშვობას, სულის სიმხნევეს გისურვებთ...

**ჟულიეტა ლატარია.**

ხობის მუნიციპალიტეტის ბეჭდვითი ორგანო
გამომცემელი: ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ- საგანმანათლებლო საზოგადოებრივი ცენტრი.
სარედაქციო კოლეგია: მერი ლაგვილავა, ნანი კილასონია, როზეტა შულაია, ბორის ბერაია, ბეჟან ნადარაია, ირაკლი შონია, თამთა ბუკია. კომპიუტერული უზრუნველყოფა– ჟულიეტა ლატარია.
გაზეთი აეწყო და დაკაბადონდა ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივ ცენტრში.
ტელ: 0 (414) 22-20-31; 599-50-40-57; 577 21-41-44.
ელ. ფოსტა: xobismoambe@mail.ru.
დაიბეჭდა შ.პ.ს. გამომცემლობა „კოლორში“. თბილისი, რკინიგზის ჩიხი№20.
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
გაზეთში დაბეჭდილი მასალის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.